სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 20 აპრილი 2001 №70 (1343) | ფასი 50 თეთრი

ბადრი ქათელაძის ფოტო

არა!

ჯამარაულმა და იაშვილმა ნაკრებში თამაშზე უარი თქვეს

ფარაგ დელენდაგელის ფოტო

შვეიცარიის „ციურიხის“ ნახევარმცველმა გოჩა ჯამარაულმა და გერმანიის „ფრაიბურგის“ თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა საქართველოს ნაკრებში თამაში იუარეს.

რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის მიწვევის მიუხედავად, არც ჯამარაული და არც იაშვილი 24 აპრილს, ისრაელის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის თბილისში არ ჩამოვლენ — მათ ძოძუაშვილისა და ყიფიანის გუნდში თამაში არ სურთ.

ასეთი რამ საქართველოს ნაკრებში ადრეც მომხდარა. ალექსანდრე ჩივაძის ნაკრებს მიხეილ ყაველაშვილი განუდგა, მერე ვლადიმერ გუცაევს თემურ ქეცბაია გაებუტა და აი, ახლა ერთბაშად ორმა ფეხბურთელმა იუარა ორთავა ნაკრები.

გოჩა ჯამარაული: ქართველ გულშემატკივართან ბოდიშს ვიხდი — მე ნაკრებში აღარ ვითამაშებ, მომბეზრდა. ისრაელთან ამხანაგური მატჩისთვის კი გამომიძახეს, მაგრამ თბილისში არ ჩამოვალ. ჯობს, ციურიხში დავრჩე. აქ მენდობიან და მათამაშებენ კიდეც. ახლა ასე გადავწყვიტე, მერე ვნახოთ...

ალექსანდრე იაშვილი: არ ჩამოვალ! ეს დღეს და გუშინ არ გადამიწყვეტია, დიდხანს ვფიქრობდი. ასე აჯობებს. იმედია, ქომაგი გამიგებს. ნაკრების მწვრთნელებმა შანსი არ მომცეს, ჩემი შესაძლებლობები დამემტკიცებინა. ჩამოვდიოდი, ვვარჯიშობდი, სასურველ ფორმაშიც ვიყავი, თავს არ ვზოგავდი, მაგრამ მაინც არ მათამაშებდნენ. ვარჯიშით კი „ფრაიბურგშიც“ კარგად ვვარჯიშობ.

იხილეთ მეორე გვერდი

წარსული ფინალში: სისხლიანი და უსახელო

ლივერპული 1
ბარსელონა 0

ქაიზერსლაუტერნი 1
ალავესი 4

UEFA CUP

მარადონას ხელის ხსენება აქ უადგილოა — პატრიკ კლუივერტს ხელით თამაშშა მწუხარების მეტი არაფერი მოუტანა, „ბარსელონას“ კი წლეულს ბოლო იმედი დაუკარგა. ესპანეთის თასისთვის იბრძვის? „ბარსასთვის“ ეს ძალიან ცოტაა.

„ლივერპული“ კი ამ დღეს თექვსმეტი წელი ელოდა — მისი ბოლო ევროფინალი ბრიუსელის „ეიზელზე“ შედგა, სისხლიანი ფინალი იყო...

თუმცა რაა თექვსმეტი წელი, როცა „ალავესი“, ათი წლის წინ ესპანეთის მეოთხე დივიზიონის ბინადარი, არათუ ფინალს, ევრობაში გასვლასაც ზუსტად ოთხმოცი წელი ელოდა — „ალავესი“ ოთხმოცი წლის წინ შეიქმნა.

ფინალი. 12 მაისი. დორტმუნდი

ლივერპული — ალავესი

იხილეთ მეორე გვერდი

ლივერპული — ბარსელონა. რეინამ „ბარსელონა“ ვერ გადაარჩინა, „ლივერპული“ ფინალში პენალტით გავიდა

REUTERS ლივერპულიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

ფუხელ

უეფას თასი ნახევარფინალი საპასუხო მატჩები

ლივერპული 1:0 ბარსელონა (0:0)

ლივერპული. «ენფილდი»

44 203 მაყურებელი

1:0 მაკალისტერი (45ბ)

ვესტერფელდი, ბაბელი, ჰიბბერტი, ელბოსი, კარაგერი, შეიცერი (ფაულური 81), ჰამანი, ჯერარდი (მერფი 79), მაკალისტერი, ოუენი (ბერგერი 63), ჰესკი

მწვრთნელი:

საქართველოს უმაღლესი ლიგა — 12 — ჩემპიონატი ლიგა
მეორე ეტაპი

4 ტური

მიმოხილვა

ჭორი გავრცელდა საქართველოში...
რა ყოფილა „დინამოს“ საიდუმლო?!

ალექსანდრ ეფრემიძის ფოტო

თსუ — „სიონი“. ბოლნისელების სიმძიმემ სტუდენტები წელში გადატეხა

I–VI ადგილები

ლოკომოტივი 2:2 დინამო		
17	დაჯარიმდა	18
8	კუთხური	3
5	კარისკენ დარტყმა	6
2	კარში დარტყმა	5
3	თამაშგარე	3

კოლხეთი 0:1 ბორპედო		
17	დაჯარიმდა	23
6	კუთხური	10
4	კარისკენ დარტყმა	6
1	კარში დარტყმა	3
0	თამაშგარე	2

ვიტ ჯორჯია 1:0 მერანი		
9	დაჯარიმდა	15
8	კუთხური	1
3	კარისკენ დარტყმა	2
5	კარში დარტყმა	1
3	თამაშგარე	3

ზოგს თავი ჩემპიონი ეგონა, ზოგსაც ოცნებაში თასი ჰქონდა აღმართული, მაგრამ ფეხბურთის თამაში, მით უფრო გამარჯვება, ოდენ ოცნებით არ გამოვა.

ნელი, უნიათო ბურთაობა, უსახური სანახაობა, ფიზმომზადება ნულის ტოლფასი. რაღა თქმა უნდა, აქ ტაქტიკაზე საუბარი ზედმეტია და ქომაგის ნაწილი მაინც დადის ფეხბურთზე. გულშემატკივარს ყურით მოთრეული დაძაბულობა აინტრიგებს.

ვინ გახდება ჩემპიონი? ხშირად გაიგებთ შეკითხვას, რომელსაც კითხვის დამსმელები თავადვე პასუხობენ — „ტორპედო“ თუ „დინამო“?

დღეს არც გვიკვირს, საჩემპიონო ორთაბრძოლაში ჯერაც პირველადგილოსან „ლოკომოტივს“ რომ არ ასახელებენ. რკინიგზელებმა ნელ-ნელა, თვალსა და ხელს შუა გაფლანგეს ერთი შეხედვით სოლიდური უპირატესობა. გუნდი დამძიმდა, ვეტერანები აღვილად იღლებიან, ახალგაზრდები შეცდომებს უშვებენ და იკარგება ქულები.

„დინამოს“, რადგან საკადრისი შემსრულებლები არ ჰყავს, ერთი იარაღი მოუმარჯვებია. შინ თუ გარეთ, ყველა მეტოქეს პრესინგს ეთამაშება. არაქათის გაცლამდე იბრძვიან ტყებუჩავას ბიჭები, ძალიან იღლებიან, მაგრამ თამაშის ბოლოს მეტოქეც დაქანცულია. ამიტომაც დაუმარცხებელია ათგზის ჩემპიონი მეორე ეტაპზე.

„დინამოს“ ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შესთავაზა რაიმე პრესინგის საწინააღმდეგოდ. არადა, კარგი გუნდისთვის ეს საძნელო საქმე არ უნდა იყოს. დიდი ფილოსოფია არ სჭირდება — ათგზის ჩემპიონებს მეტოქის მეტი მოძრაობა და სისწრაფე გააჩერებდა. ამას კარგი, უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ სწორი ფიზმომზადება უნდა. ძალების სწორედ განაწილება, გააზრებული ტაქტიკური მონახაზი. თუმც არ დაგვავიწყდეს, საქართველოს ჩემპიონატზე ვსაუბრობთ და არა სხვაზე. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი ნაღდ გუნდებს ძალუძთ და არა ჩვენებურებს.

ამიტომ არის „დინამო“ ჯერაც დაუმარცხებელი. ამას რომ ვამბობთ, სულაც არ ვაპირებთ, ახალგაზრდა დინამოელთა თავდადება დავაკნინოთ. მათი ბრძოლისუნარიანობა დასაფასებელია, მაგრამ ნაკლიც არაერთი აქვს ტყებუჩავას გუნდს.

ორი ბურთით უგებდა „ლოკომოტივი“ „დინამოს“: სრულ უპირატესობას ფლობდნენ რკინიგზელები და გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს უპირატესობის შენარჩუნებაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ...

ჩვენ არ ვიცით, რატომ გამოცვალა ნოდიამ დათვაძე. ვერც სხვა ცვლილებებზე მოგახსენებთ მწვრთნელის აზრს. ფაქტი ერთია, „ლოკომოტივი“ მეორე ტაიმში ერთიანი გუნდი არ იყო. დაწინაურების შანსი ხელიდან გაუშვა, გამოცდილმა ფეხბურთელებმა თამაშის სადავეები მეტოქეს გადაუბარეს. გათამამებულმა და ემოციებით დამუხტულმა „დინამომ“ კი სათავისო საქმე აკეთა.

ემოციები ვახსენეთ და არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ დინამოელთა ზღვარგადასული დავა-კამათი მეტოქესთან. ფეხბურთში ფეხს რომ მოგარტყამენ და მხარს გაგკრავენ, რატომ უნდა იყოს გასაკვირი, გაუგებარია. მერამდენედ ვნახეთ საჩხუბრად გაწეული ათგზის ჩემპიონები. ყველა მეტოქესთან ეს არ გაჭრის, არც ყველა მსაჯი დახუჭავს თვალს და...

ამასობაში „ტორპედომ“ ფოთში იმარჯვა. თითქმის უბრძოლველად დანებდა „კოლხეთი“. შანსი რაა, ისიც არ ჰქონია ფილიას გუნდს.

თამაშიდან თამაშამდე მცირდება დამცველთა რაოდენობა რიონისპირელთა რიგებში. „ტორპედოც“ იგებს. გამარჯვება ფსიქოლოგიურად ძალიან დაგვეხმარებაო, თქვა ნამატჩევს დავით ყიფიანმა.

სოსო ფილიამ, ტაქტიკური სქემა აგვერია და თავდამსხმელების პრობლემამ დაგვაღალატაო. „კოლხეთის“ ცდა, საპრიზო სამეულში გამძვრალიყო, ვფიქრობთ, წარუმატებლად დასრულდება. საკმარისი დენთი არ აღმოაჩნდათ „ფაზისის“ ბინადართ.

წინა ტურში ჩაგდებული მატჩის შემდეგ კვლავ გამოაჩინა ბრჭყალები „ვიტ ჯორჯიამ“. ჯანი კარნევალის თქმით, გუნდმა მხოლოდ 30 წუთი ითამაშა საკადრისად. მერე პრობლემებმაც იჩსინეს თავი.

„მერანის“ თავკაცი ოთარ გაბელია მსაჯმა სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე გადაბარგა. სამსაჯო კომიტეტის თავკაცს წაეკიდა ავჭალელთა დამრიგებელი. გაბელიამ ფედერაციის მიწამართითაც თქვა სამდურავი სიტყვები.

მეორე ეტაპის პირველი წრის დამთავრებამდე ტურია დარჩენილი. მეტად დაძაბული და პრინციპული. „ტორპედოს“, რომელიც თასის მფლობელს მასპინძლობს, გაპირველების შანსი ეძლევა. „დინამოს“ შეუძლია „ლოკომოტივს“ დაეწიოს, ხოლო „ვიტ ჯორჯიას“ საშუალება აქვს, სამეულისკენ წადგას ნაბიჯი. ვნახოთ, ხვალამდე არც ისე დიდი დროა.

ახლა „წყალწაღებულებზეც“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. „ბათუმმა“ „იბერიას“ იოლად მოუგო და ქვედა ექვსეულს სათავეში ჩაუდგა. მოფერიანდა გორის „დილაც“. საკუთარ „ცენტრალურზე“ თავიდან აგებდნენ გორელები, სასიკეთოც არაფერი უწანდათ, მაგრამ შეცდა რუსთაველთა მეკარე და...

ბოლნისელებმა, როგორც იქნა, გაუტანეს მამარდაშვილს, თანაც ერთ თამაშში სამჯერ შეურხიეს კარის ბადე. კვლავ ჩავარდა სტუდენტური დაცვა, მათი მეკარის შესაძლებლობებსაც, რა თქმა უნდა, აქვს საზღვარი.

ქვედა ექვსეულში საცოდავმა „იბერიამ“ იკითხოს, თორემ ლიგაში ადგილის შენარჩუნება დანარჩენ ხუთს თანაბრად შეუძლია.

ისე, შეიძლება „იბერიასაც“ დაუდგეს სისიხარულო წუთები. ჭორად ამბობენ საფეხბურთო საქართველოში, წლეულს უმაღლესი ლიგიდან გუნდებს არ გააგდებენ, მონაწილეთა რაოდენობა 16-მდე უნდა გაზარდონ.

ეს ჯერ მხოლოდ ჭორებია, ამიტომ გირჩევთ, ნაადრევად თავს ნუ დაიარხეინებთ და განცხრომას ნუ მიეცემით.

მეოთხე ტური კი სტუმრებისა გამოდგა. სამი მოგება და ერთი ფრე ორი წაგების სანაცვლოდ, გოლი სულ 16 გავიდა. ცოტა ნამდვილად არაა, მაგრამ მეტიც ხომ გვინახავს.

ვამუკა კვანტალიანი



ბადრი ჯეიელაძის ფოტო

„ლოკომოტივი“ — „დინამო“. მურთაზ შელია სევდის ჩრდილში: ეს წუთია, ბურთი საკუთარ კარში აეჭრა



უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ლოკომოტივი	4	1	2	1	4:4	0	33	3	1	2	0	4:2	2	5	1	0	0	1	0:2	-2	0
2 ბორპედო	4	2	1	1	5:4	1	31	1	1	0	0	3:0	3	3	3	1	1	1	2:4	-2	4
3 დინამო	4	1	3	0	5:4	1	30	2	1	1	0	3:2	1	4	2	0	2	0	2:2	0	2
4 ვიტ ჯორჯია	4	2	0	2	5:4	1	25	2	2	0	0	4:0	4	6	2	0	0	2	1:4	-3	0
5 კოლხეთი	4	2	0	2	5:4	1	22	3	2	0	1	4:2	2	6	1	0	0	1	1:2	-1	0
6 მერანი	4	0	2	2	0:4	-4	18	1	0	1	0	0:0	0	1	3	0	1	2	0:4	-4	1

უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ბათუმი	4	1	2	1	4:2	2	19	1	0	0	1	0:1	-1	0	3	1	2	0	4:1	3	5
2 დილა	4	2	1	1	9:4	5	16	3	2	1	0	9:2	7	7	1	0	0	1	0:2	-2	0
3 თსუ	4	2	0	2	5:7	-2	16	3	2	0	1	5:3	2	6	1	0	0	1	0:4	-4	0
4 გორდა	4	2	0	2	6:5	1	15	2	2	0	0	7:2	5	6	2	1	0	1	2:2	0	3
5 სიონი	4	1	2	1	6:7	-1	15	1	0	1	0	1:1	0	1	3	1	1	1	7:6	1	4
6 იბერია	4	0	1	3	3:14	-11	3	2	0	1	1	2:5	-3	1	2	0	0	2	1:9	-8	0

VII–XII ადგილები

დილა 2:1 გორდა		
22	დაჯარიმდა	24
2	კუთხური	5
4	კარისკენ დარტყმა	6
7	კარში დარტყმა	2
1	თამაშგარე	10

იბერია 0:3 ბათუმი		
11	დაჯარიმდა	8
0	კუთხური	9
3	კარისკენ დარტყმა	7
1	კარში დარტყმა	18
4	თამაშგარე	1

თსუ 1:3 სიონი		
17	დაჯარიმდა	14
3	კუთხური	4
5	კარისკენ დარტყმა	4
3	კარში დარტყმა	6
0	თამაშგარე	3

გომბარდირები	
17 - ზირაქიშვილი	დინამო
11 - დ. გოდერძიშვილი	მერანი
10 - რუსია	ლოკომოტივი
იონანიძე	ტორპედო
9 - გადელია	დინამო
ლ. მელქაძე	ვიტ ჯორჯია
გ. შენგელია	ლოკომოტივი
8 - ა. მუჯირი	ბათუმი
ყულეჯიშვილი	ბათუმი
7 - გ. ვ. მიქაძე	დინამო
6 - აფხაჩავა	ბათუმი
წუფუნავა	ვიტ ჯორჯია
გ. ქორიძე	ვიტ ჯორჯია
ეჯოშვილი	დილა

შალამბერიძე დაასვენეს ამოგელო ფითელიო, უსაყვედურეს მსაჯს

მეოთხე ტურის „ლოკომოტივი“ — „დინამო“ ფრედ, 2:2 დასრულდა. ნერვიული მატჩი იყო, აყალმაყალით დამძიმებული. ფეხბურთელებიც დასაწყისიდანვე იწევდნენ ერთმანეთისკენ. მსაჯმა შალამბერიძემ მასპინძელი ონიანი და სტუმარი სახვაძე გასახდელის გზას გაუყენა, რამდენიმეს ყვითელი ბარათი აუფრიალა და საყვედურიც დაიმსახურა.

63-ე წუთი იყო, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გილაურმა ბურთი რომ ვერ დაიმორჩილა და დასწრებაზე მოთამაშე გრიშიკაშვილს შეასკდა. ჯერ წიხლები არ დაიშურეს ერთმანეთისთვის წაქცეულებმა, მერე ხელდახელ ჩხუბშიც ჩაერთნენ.

სწორედ მაშინ შედრკა ავთანდილ შალამბერიძე, გრიშიკაშვილის გაწითლებას მოერიდა და ჩხუბის ამტეხ მეკარეს ყვითელი ბარათი აკმარა. შალამბერიძეს ჩვენში ერთ-ერთ კეთილსინდისიერ მსაჯად იცნობენ, მაგრამ შეცდომისთვის მაინც დასაჯეს.

„გუშინ, 19 აპრილს, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის სადისციპლინო კომისიამ განიხილა „ლიკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩის არბიტრის ავთანდილ შალამბერიძის საკითხი. კერძოდ, შალამბერიძემ ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე და უდისციპლინო საქციელისთვის მოედნიდან არ გააძევა „დინამოს“ მეკარე გრიშიკაშვილი. ამის გამო მატჩის ინსპექტორმა გია ფირცხალავამ მისი მსაჯობა 6,9 ბალით შეაფასა. კომისიამ შალამბერიძეს 1 თვით აუკრძალა უმაღლესი ლიგის მატჩების განსჯა.“

ერთი თვე არცთუ ისე დიდი დროა. შალამბერიძეც იოლად დაძლევს ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მაგრამ ერთი კითხვით მივმართავთ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის სადისციპლინო კომისიას: ჩვენში თუ არიან ისეთი მსაჯები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ მომენტში სათანადო სიმტკიცეს გამოიჩენდნენ და „დინამოს“ მეკარეს გააძევებდნენ? ასეთები ჩვენ არ გვეგულება, ხოლო თუ ერთი პრინციპული არბიტრი მაინც გვყავს, არც ისე ცუდად ყოფილა საქმე.

დათო დანელია

ზუგდიდი უფეხბურთოდ დარჩა

შეიძლება დღეს ზუგდიდში არც არავის ეფეხბურთება, ან კი რაღა დროს ფეხბურთიაო, დაიჩივლებს მავანი. გაჭირვება, დაძაბულობა... მაინც თამაშობდნენ ზუგდიდელები, რა თქმა უნდა, თუ იმ წვალებას თამაში შეიძლება ეწოდოს.

ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა გათამაშებიდან მოხსნა ზუგდიდური კლუბი და ეს ის შემთხვევა გახლავთ, როცა სხვა გზაც არ იყო.

ზუგდიდელთა საკითხი აქამდეც რამდენჯერმე გაარჩია სადისციპლინო თუ საგანგებო კომიტეტმა. ჯერ იყო მსაჯის ცემა, მერე დაგვიანება კალენდარულ მატჩზე. სადისციპლინო კომიტეტის ერთერთ ბოლო სხდომაზე ისევ ზუგდიდელთა საკითხი იხილებოდა. მათ მორიგად ვერ მოახერხეს სტუმრად თამაშზე დროულად გამოცხადება. მაშინ „ზუგდიდს“ უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს.

...და ისევ არგამოცხადება... სხვა გზა არ იყო და საგანგებო კომიტეტმა საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა:

„XII ჩემპიონატის კალენდარული მატჩის არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის „ზუგდიდი“, სადისციპლინო კოდექსის თანახმად, მოიხსნას გათამაშებიდან. მოხსნილ გუნდს ყველა დანარჩენ მატჩებში ჩაეთვლება წაგება 0:3 და დაგროვილი ქულებით დარჩება გათამაშების ცხრილში.“

სამწუხარო ფაქტია. ნელ-ნელა იკარგება ფეხბურთი მთელ რეგიონში და ვინ იცის, როდის გამოიყვანს ზუგდიდი ჩემპიონატში გუნდს.

დათო დანელია

ქართული ადგილები უეფაში

მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის დასრულების თანავე ერთი კითხვა იბადება — რომელ ადგილზე გასული გუნდი რომელ ევროტურნირზე ითამაშებს? ეს აინტერესებთ ქომაგთ, გუნდების წარმომადგენლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გუშინ სწორედ ეს განგვიმარტა.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს გუნდი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონი გახდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონმა საქართველოს თასიც მოიპოვა, მაშინ თასის ფინალისტი გავა უეფას თასზე. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა თასის ფინალისტი ევროტურნირის საგზურს მოიპოვებს. თუ ქვეყნის თასს ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული გუნდი დაეუფლება, ის უეფაზე ითამაშებს, როგორც თასის მფლობელი, უეფას თასის მეორე საგზურს კი ჩემპიონატის მესამეადგილოსანი მიიღებს. შესაბამისად, ინტერტოტოზე თავის ძალებს ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული გუნდი გამოსცდის. თუ საქართველოს თასი იმ გუნდმა მოიპოვა, რომელიც ჩემპიონატის პრიზიორებში ვერ მოხვდა, მაშინ ყველაფერი გაცილებით მარტივი იქნება: ჩემპიონი — ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, მეორე ადგილი და თასის მფლობელი — უეფას თასზე, მესამეადგილოსანი კი ინტერტოტოს გათამაშებაში ჩაებმება.

ლუკა თალაკვაძე

რესტორანი ზენიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

ევროკავშირი მანჩესტერის წინააღმდეგ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ბაიერნი 2:1 მანჩესტერ იუნაიტედი (1:0)

მიუნხენი, «ოლიმპიაშტადიონი»
63 000 მაყურებელი

1:0 ელბერი (5), 2:0 შოლი (40), 2:1 გიგზი (49)

კანი, კეფერი, ანდერსონი, ლინგი, სანოლი, ტარნატი, იერმანი, შოლი (ბიულო სერეი 88), ეფენბერგი, ელბერი (სანტა კრუზი 64), ინგერი (ფიკერი 35)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი (ჩეფუკი 85), სილვესტრი, ბეთი (სოლსკიერი 78), კანი, სკოუ ლზი, გიგზი, ენდი კოული, იორკი (ბერნგემი 66)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

5	კარისკენ დარტყმა	4
5	კარში დარტყმა	5
7	ჯარიმა	4
1	კუთხური	11
2	თამაშგარე	4



REUTERS მიუნხენიდან

„დროშები ჩქარა“ მიუნხენში

აქვე შევთანხმდეთ, რომ ორი წლის წინანდელ ფინალსა და რევანშზე არაფერს ვიტყვით. ერთი, რომ ამ თემაზე უამრავი რამ ითქვა და თან ოტმარ ჰიცფელდიც ამბობს, თამაშისას ეგეთ რამეებზე ფიქრისთვის არ გვეცალაო. როგორ ეცლებოდათ? მსაჯის საფინალო სასტვენის მერე ოლივერ კანს გაღიმების თავიც არ ჰქონდა, ერთიანად მოეშვა, მინდორზე დაემხო და მგონი, ცრემლიც წამოუგორდა. არადა, ერთი შეხედვით, „ბაიერნს“ სანერვიულო არაფერი ჰქონდა — სტუმრად რომ მოიგებ, მერე შინ სწრაფ გოლს გაიტან და მეორესაც მიაყოლებ, განა რამე უნდა იყოს სანერვიულო? მაგრამ ხომ იცით, მაინც „მანჩესტერ იუნაიტედია“, თან ტედი შერინგემისა და ოლე გუნარ სოლსკიაერის შეცვლაზე გამოჩენამ რაღაც მოგონებები... უკაცრავად, ხომ შევთანხმდით, ბარსელონურ ფინალს არ გავიხსენებთო.

მეხუთე წუთი იყო. შტეფან ეფენბერგმა ბურთი ათრია და მარცხენა ფლანგზე მიხაელ ტარნატი მოძებნა. ამან კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც კარსტენ იანკერი ელოდებოდა. იანკერი ბურთს ვერ მისწვდა, ისევე როგორც მისი მეურვენი უესლი ბრაუნი და იაპ სტამი. ამ სამს რომ ჩაუქროლა, ბურთი ჯოვანი ელბერის ფეხთან აღმოჩნდა, იქიდან კი ფაბიენ ბარტეზის კარში შეფრინდა.

„მეხუთე წუთზე გოლის გაშვება შესაძლოთაგან ყველაზე ცუდი ვარიანტი იყო“ — თქვა მოგვიანებით სერ ალექს ფერგიუსონმა.

მანჩესტერელ მცველთა ამ შეცდომას სხვები მოჰყვა. გოლიდან სამ წუთში ეულად მყოფმა იანკერმა ხარიხას გაარტყა, არადა, წესით და რიგით, უმეთვალყურეოდ არ უნდა დაეტოვებინათ. კიდევ რამდენიმე წუთიც და იმავ იანკერმა მიკაელ სილვესტრს ბურთი მოჰპარა, ბარტეზის პირისპირ დარჩა, მაგრამ ასეთ იღბალს, ალბათ, არ ელოდა და პირდაპირ შეკარეს გაარტყა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ არასდროს ნებდება და ვიცოდით, რომ სიხარული ნაადრევი იყო“ — ოტმარ ჰიცფელდმა მეტოქის შექება არ დაიზარა.

„მანჩესტერს“ დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ბრძოლა გაჩაღდა. სტამმა შეცდომის გამოსწორება სცადა და დუაიტ იორკს ბრწყინვალე პასი გაუხერხა. ტობაგოელმაც კარგად დაარტყა, ასე, თორმეტი მეტრიდან, მაგრამ ოლივერ კანმა თავი არ შეირცხვინა. მერე კანს ენდი კოულის ფეხი მოხვდა თავში და კარგა ხანს ასულიერებდნენ — აკი ვთქვით, ბრძოლა გაჩაღდაო.

თუმც ნაღდი ბრძოლა უფრო მეორე ტაიმში იყო, მას შემდეგ, რაც ბარტეზმა ბურთი მეტოქის ნახევარზე ჩაადგო, იორკმა კინს გადააბარა, კაპიტანმა გიგზი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ხოლო უელსელმა კანს თავზე გადაუგდო და სხვაობა ისევ ერთ ბურთამდე შეამცირა. ერთ ბურთამდე, რადგან პირველი ტაიმის მიწურულს მანჩესტერელთა მორიგ შეცდომას, კერძოდ კი იმას, რომ მეჰმედ შოლის მეურვეობა არავის მოსვლის აზრად, „ბაიერნის“ მეორე გოლი მოჰყვა.

გიგზის გოლმა თამაშს ინტერესი დაუბრუნა. სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ ფაბიენ ბარტეზი თავისიანებს უკიჟინებდა, ათივენი „ბაიერნის“ საჯარიმოსთან ჩადით, იქამდე ბურთის მიტანა კი ჩემზე იყოსო.

„მანჩესტერს“ მომენტები ჰქონდა. ტედი შერინგემმა ახლო მანძილიდან მოიქნია და არაზუსტად გაისროლა, თორემ საეჭვოა, კანს აეღო. კიდევ რამდენიმე მართლაც სახიფათო მომენტი შეიქმნა. მერე თამაშში ჩაება ლუკ ჩედვიკი, რომელმაც მაშინვე აანერვიულა მასპინძლები, მაგრამ... არა, „მანჩესტერის“ იერიშებს აშკარად რაღაც აკლდა. ალბათ, დევიდ ბექემი. სამოითხი პასი და მერე ბურთის დაკარგვა ან არაფრის მომცემი [illegible] აზრებული კომბინაციები [illegible] ფერი ეტყობოდა, უფრო სასოწარკვეთილთა ბოლო ამოსუნთქვა იყო.

აქვე ვახსენოთ პატრიკ ანდერსონის წარბიც, დუაიტ იორკის თავით გახეთქილი და ეს შემთხვევაც უკიდურესი დაძაბულობის აღსანიშნავად გამოვიყენოთ.

„ბაიერნი“ ზედიზედ მესამედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „მანჩესტერისთვის“ კი სეზონი დასრულდა. გავიხსენოთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი პირველი მეოთხედფინალური შეხვედრის წინ ამბობდა, ჩვენთვის სეზონი ახლაღა იწყებაო და თვალის დახამხამებაში კი დამთავრდა.

ისე, „მანჩესტერის“ წინააღმდეგ თამაში მთელ ევროპაში ისწავლეს, ინგლისის გარდა.

გიორგი დარჯანია

REUTERS მიუნხენიდან

ოლივერ კანი: მიუნხენის კედელი, რომელიც „მანჩესტერმა“ ვერ დაანგრია

გულე, გულე, ჯიმ ბომ

გალა ლიგას დაემშვიდობა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

რეალი 3:0 გალათასარაი (2:3)

მადრიდი, «სანტიაგო ბერნაბეუ»
74 000 მაყურებელი

1:0 რაული (15), 2:0 ელგერა (29), 3:0 რაული (36)

კასილიასი, სალგადო, კარანკა, რობერტო კარლოსი (სოლარი 90), იერო, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ (სავიო 86), რაული, გუტი (ფლავიო კონსეისაო 75)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ტაფარელი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, ფიტიში, ემრე ბელოზოღლუ, ოკანი, სუათი (ბიულენთ აქინი 46), უმითი, ჰაჯი, ფარდელი, ჰასან შაში (არიფი 67)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ოკანი, უმითი, ჰასან შაში, ფიტიში, ბიულენთ ქორქმაზი, კარანკა; მსაჯი: ანდრს ფრისკი (ჩეხეთი)

3	კარისკენ დარტყმა	9
9	კარში დარტყმა	1
14	ჯარიმა	16
8	კუთხური	6
4	თამაშგარე	2

მადრიდის „რეალმა“ „გალათასარაის“ ყველაფრისთვის გადაუხადა სამაგიერო — ევროპის სუპერთასზე წაგებისთვის და პირველ მატჩში, სტამბოლში დატრიალებული საკვირველებისთვისაც. მაშინ, პირველი ტაიმის შემდეგ მადრიდელები 2:0 იგებდნენ და სამი გოლის გაშვება მოახერხეს. „რეალმა“ ახლაც დიდებულად ჩაატარა პირველი ნახევარი, მეორეში კი ოსტატურად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. თურქული ზღაპარი ხანმოკლე აღმოჩნდა — ნახევარფინალში „რეალი“ „ბაიერნს“ შეხვდება.

დასაწყისში მასპინძლთაგან ყველა შტურმს ელოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. უფრო მეტიც, „გალათასარაი“ არაფრით ჩამორჩებოდა ევროპის საკლუბო ჩემპიონებს. მაგრამ კლასი მაინც თავისას აკეთებს და „რეალის“ პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დამთავრდა. მაკმანამანმა გონივრულად შეაფასა ვითარება, მარჯვენა ფრთაზე გარღვევაზე სალგადო გაიყვანა, ამანაც საჯარიმოში ჩააწოდა და იქ რაულმა დასწრებაზე ყველას აჯობა. ამას თურქი ფეხბურთელების ზედმეტად განერვიულება მოჰყვა, მსაჯს ხშირად ეწუწუნებოდნენ და ყვითლებიც ჩამოირიგეს. თუმცა ასეთ ქცევას „რეალის“ კართან მდგომარეობა არ გაუმწვავებია. მასპინძლებმა კი საქმე დიდი ანგარიშით გამარჯვებამდე მიიყვანეს. ჯერ იყო და, ელგერას დარტყმული სასწაულით მოიგერია ტაფარელმა, მერე ფიგუს კუთხურს იმავე ელგერას თავური და მეორე გოლი მოჰყვა. თუმცაღა, ბოროტი ენები ამტკიცებენ, ამ ეპიზოდში კუთხური შეცდომით დანიშნეს, ბურთი სალგადოსგან გადავიდაო...

რამდენიმე წუთში ისევ მაკმანამანმა გაიბრწყინა. ინგლისის ნაკრების ნახევარცველმა დიდებული პასით რაული მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და თავდამსხმელმაც ახლო კუთხეში გაიტანა. ეს იყო რაულის მეშვიდე გოლი ლიგის წლევანდელ გათამაშებაში, საერთოდ კი ამ ტურნირში მადრიდელ თავდამსხმელს 28-ჯერ დაულაშქრავს მოწინააღმდეგის კარი, რაც რეკორდი გახლავთ.

ამის მერე „რეალმა“ ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი, თუმცა რამდენჯერმე სახიფათოდ კონტრშეუტია, რაულს, ფიგუსა და ელგერას გატანა მართებდათ. მაკმანამანმა კი სულაც ცარიელ კარში ვერ შეაგდო.

თურქებს ყველაზე კარგი მომენტი პირველი ტაიმის მიწურულს შეექმნათ, მაგრამ ბიულენთის თავურმა ხარიხას გადაუფრინა. აი, ჟარდელი კი, „გალათასარაის“ მრისხანე ფორვარდი, აშკარად დაიჩრდილა. ის სამჯერ აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაში და ზუსტად ვერც ერთხელ დაარტყა.

დამთავრებამდე 20 წუთი რჩებოდა, როცა მონასტერი აირია. მაყურებლები კუთხურზე გადავარდნილი ბურთის დაბრუნებას არ ჩქარობდნენ, ტაფარელის მანჭიაობას კი ტრიბუნებიდან ათასგვარი საგნების წვიმა მოჰყვა. ერთი სანთებელა თითქოს ოკანს მოხვდა (როგორც ტელეგამეორებისას გამოჩნდა თურქს არაფერი დაშავებია) და მინდორზე გააგორა, აქეთ ემრე ბელოზოღლუ ჯერ მაკმანამანს წაეჩხუბა, მერე კარანკას, ემრე ასიქი კი მინდორზე, გადმოყრილ ნივთებს ისევ მაყურებლებს ესროდა...

აყალ-მაყალი მალევე ჩაცხრა და დარჩენილ დროშიც საინტერესო ბევრი აღარაფერი მომხდარა.

„დღეს ჩინებულად ვითამაშეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლეულს ჯერ არაფერი მოგვიგია. ასევე უნდა გვახსოვდეს, ვინ გველის ნახევარფინალში. „ბაიერნი“ უდიდესი ტრადიციების გუნდია, რომელსაც რამდენიმე ფანტასტიკური მოთამაშე ჰყავს“ — თქვა „რეალის“ მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ.

„მომეჩვენა, რომ ნებით თუ უნებლიედ მსაჯი სტადიონის დაკურლზე ცეკვავდა. პირველი გოლის დროს მეტოქემ ჰასან შაშთან დაარღვია წესი, მეორისას კი მიჩელ სალგადომ ხელით ითამაშა. თუმცა, არც „რეალის“ დამსახურება მინდა დავაკნინო. ვფიქრობ, ლიგაში დარჩენილთაგან ის ყველაზე ძლიერია“ — „გალათასარაის“ რუმინელმა დამრიგებელმა მირჩა ლუჩესკუმ შვედი არბიტრის ანდერს ფრისკის მისამართით არაერთი „ტკბილი“ სიტყვა თქვა.

თურქული პრესა თავისი ფეხბურთელებით მაინც ამაყობს: „ჩვენ გულდაწყვეტილები ვართ, მაგრამ არა განადგურებულები. ევროპის საუკეთესო კლუბებთან თავი არ დაგვიხრია, ბოლომდე ვიბრძოდით“ — წერს გაზეთი „მილიეთი“ — მადლობა „ჯიმ-ბომს“ („გალათასარაის“ მეტსახელია), იმისთვის, რომ თურქული ფეხბურთი „ბერნაბეუზე“, ევროპული ფეხბურთის ტაძარში მიიტანა. ლიგის მეოთხედფინალში გასვლა დიდი მიღწევაა“.

სოლომონ გულისაშვილი

REUTERS მადრიდიდან

ოკანმა არგუმენტად ყური მოათრია

კრილია რისხვაა მოსკოვის...

REUTERS რომიდან

ლილიან ტურამის (მარჯვნივ) ავტოგოლმა „პარმა“ გატეხა

იტალია

გადადებული მატჩი
ლაციო 1:0 პარმა

1:0 ტურამი (12ს.ჯ.)

ლაციო: ბერუცი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, კასტრომანი (ბანჯარო 89), ბარონიო (სტანკოვიჩი 71), სიმონე ნედვედი, კრუსპო, კლაუდიო ლოპესი (რავანელი 80)

მწვრთნელი: დინო ძოფი

პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, სერჯიო კონსეისაუ, ბოლანო (მიკუ 58), ლამუში, ადია (ფუზერი 65), ფალსინი, მილოშევიჩი (დი ვაიო 46), მბომბა

მწვრთნელი: რენეო ულივიერი

გაფრთხილება: ფერნანდუ კოუტუ, სიმონე, რავანელი, მიკუ

50 000 მაყურებელი

„რომასა“ და „იუვენტუსის“ ბრძოლაში საეჭვოა ვინმე ჩაერიოს, მაგრამ, თეორიულად, „ლაციომ“ სკუდეტოს მოპოვების შანსი შეინარჩუნა — ოთხშაბათს, როდესაც მთელი ევროპის ყურადღება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრებისკენ იყო მიპყრობილი, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ თავის დროზე წვიმის გამო გადადებული თამაში შედგა: „ლაციო“ — „პარმა“ 1:0.

გამარჯვებამ დინო ძოფის გუნდი თანაქალაქელ „რომას“ შვიდი ქულით მიუახლოვა, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ „იუვენტუსს“ სამით.

შეხვედრის პირველი ათი წუთი ქაოსური იყო, შემდეგ კი მასპინძელმა დიეგო სიმეონემ ახლოდან დაარტყა, ბურთი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა აისხლიტა, იგი პარმელთა კაპიტან ლილიან ტურამს მოხვდა და კარში შეავარდა.

ბოლო ათ წუთში სტუმრებმა ყველა ღონე იხმარეს დეკემბრის მერე პირველი მარცხის თავიდან ასაცილებლად. 89-ე წუთზე პაოლო კანავარომ ახლოდან დარტყა კიდეც, მაგრამ „ლაციოს“ მეკარემ ანჯელო პერუციმ მოიგერია.

„უშუალოდ თამაშის შემდეგ ვერასდროს ვამბობ ანგარიში სამართლიანი იყო თუ არა“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე „პარმას“ მწვრთნელმა რენეო ულივიერიმ — „ალბათ, მაინც ღირსეული იმარჯვებს, ასეთი კი დღეს, როგორც ჩანს, „ლაციო“ იყო. ჩვენ გოლი რომ ვერ გავიტანეთ, რომაელთა დაცვის დამსახურებაა. სამწუხაროა, ტურამს ბურთი საკუთარ კარში რომ აეჭრა“.

ბაბუნა კიდია

რომა	26	18	5	3	50:23	59
იუვენტუსი	26	16	7	3	45:21	55
ლაციო	26	16	4	6	47:27	52
პარმა	26	12	7	7	39:22	43
ატალანტა	26	10	10	6	31:21	40
მილანი	26	10	10	6	41:35	40
ინტერი	26	10	8	8	34:32	38
ფიორენტინა	26	8	12	6	43:35	36
ბოლონია	26	10	6	10	34:35	36
პერუჯა	26	8	8	10	34:38	32
უდინეზე	26	10	2	14	39:44	32
ლეჩე	26	7	8	11	31:42	29
ბრეშა	26	6	10	10	30:36	28
ვიჩენცა	26	7	7	12	28:38	28
ნაპოლი	26	6	9	11	25:36	27
ვერონა	26	6	6	14	29:46	24
რეჯინა	26	5	5	16	18:42	20
ბარი	26	5	4	17	21:46	19

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

II ჯგუფი. V ტური

უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) 1:2 პალმეირასი (ბრაზილია)

სერო პორტენო	5	4	1	0	15:1	13
პალმეირასი	5	4	1	0	11:3	13
უნივერსიდად დე ჩილე	5	1	0	4	4:12	3
სპორტ ბოიზი	5	0	0	5	2:16	0

IV ჯგუფი. V ტური

სპორტინგ კრისტალი (პერუ) 3:2 ოლიმპია (პარაგვაი)

კრუზეირო	5	4	1	0	12:3	13
ემელეკი	5	1	3	1	4:5	6
ოლიმპია	5	1	2	2	9:10	5
სპორტინგ კრისტალი	5	1	0	4	3:10	3

V ჯგუფი. V ტური

რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:0 ელ ნასიონალი (ეკვადორი)

რივერ პლეიტი	5	3	0	2	12:6	9
ელ ნასიონალი	5	3	0	2	7:7	9
გუარანი	5	2	1	2	9:10	7
სთრონგესტი	5	1	1	3	8:13	4

VI ჯგუფი. V ტური

პენიაროლი (ურუგვაი) 3:1 დეპორტივო ტაჩიგა (ვენესუელა)

ვასკუ და გამა	4	4	0	0	10:2	12
ამერიკა	5	3	0	2	8:9	9
პენიაროლი	5	1	1	3	6:7	4
დეპორტივო ტაჩირა	4	0	1	2	1:7	1

რუსეთი

VI ტური

ჩერნომორეცი 0:3 სატურნი

0:1 კეჩინოვი (29), 0:2 როგაჩიოვი (31), 0:3 კეჩინოვი (70)

სპარტაკი 1:1 ტორპედო ზილ

1:0 პისარევი (85), 1:1 კლიმოვი (89)

როტორი 1:0 როსტსელმაში

1:0 პავლიუჩენკო (7)

ანჟი 0:1 ტორპედო

0:1 ლატვინოვი (7)

ლოკომოტივი 1:2 კრ. სოვეტოვი

0:1 ანშელო (29), 1:1 ლოსკოვი (31), 1:2 კონოვალოვი (87)

ზენიტი 2:1 დინამო

1:0 ვასიანოვიჩი (53), 2:0 პოპოვიჩი (68ჯ), 2:1 ბულიკინი (89)

სოკოლი 2:1 ფაკელი

1:0 ფედკოვი (15), 1:1 დეგტიარევი (26), 2:1 ორბუ (59)

ცსკა 3:0 ალანია

1:0, 2:0 კორნაუხოვი (29ჯ, 62ჯ), 3:0 ლისენკო (73)

სასწაულები გრძელდება. „კრილია სოვეტოვმა“ ისევ გაიმარჯვა მოსკოვში. „დინამოს“ ცსკა-ს და „ტორპედოს“ სამარელებმა „ლოკომოტივიც“ მიაყოლეს და დაამტკიცეს, რომ წლეულს მართლაც სერიოზული გუნდი ჰყავთ.

მოიგეს „ზენიტმა“ და „სოკოლმაც“. ამისდაკვალად, ცხრილის პირველი სამეული უცვლელი დარჩა. აი, „სპარტაკმა“ კი „ტორპედო ზილს“ ვერ მოუგო და ლიდერებს ორი ქულით ჩამორჩა.

„კრილიამ“ დაშავებული ბუშმანოვისა და დისკვალიფიცირებული კარიაკას გარეშე გაიმარჯვა. რამენსკოეს სტადიონის საშინელ მინდორზე სტუმრებმა კარგი ფეხბურთი აჩვენეს, სწრაფად გადადიოდნენ დაცვიდან თავდასხმაში და ორთაბრძოლებშიც არაფერს თმობდნენ. არც „ლოკომოტივს“ უთამაშია ურიგოდ, მაგრამ „კრილიამ“ აჯობა. მოედნის ცენტრს ტიხონოვი და კასიმოვი აკონტროლებდნენ, ხოლო ბრაზილიელი ანჯელო ვერცხლისწყალივით მოძრაობდა. გოლიც ლოგიკური გამოდგა. კასიმოვმა კუთხური ჩააწოდა, ტანმორჩილმა ანჯელომ კი ბრგე მოსკოველ მცველებს დაასწრო და თავურით გახსნა ანგარიში. ოთხ წუთში მასპინძლებმა გაათანაბრეს, ობიორას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლოსკოვმა გამოიყენა. თუმცა სამარელთა მწვრთნელმა, ალექსანდრ ტარხანოვმა მერე თქვა: ყველამ კარგად დაინახა, თერმომეტრი სულ ტყუილად დაგვიდესო. სხვათა შორის, ეს იყო წლევანდელ სეზონში გაშვებული „კრილიას“ პირველი გოლი.

საფინალო სასტვენამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა კვანძი გაიხსნა. კასიმოვის პასით კონოვალოვმა ისარგებლა და გამარჯვებისა გაიტანა. ჩვენი ხაზა ჯანაშია კი დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე პიმენოვით შეცვალეს. „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ვლადიმირ ეშტრეკოვმა, კითხვაზე რატომ შეცვალეთ ჯანაშიაო, მიუგო: გვეგონა დასვენებული პიმენოვი თამაშს გაამწვავებდაო. მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მწვრთნელშეცვლილმა მოსკოვის „დინამომ“ ისევ წააგო. ამჯერად სანკტ-პეტერბურგში, „პეტროვსკის“ გადაჭედილ სტადიონზე. „ზენიტი“ ამ სეზონში ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს და თავისი ქომაგები არც იმ საღამოს გაუწბილა, ვასიანოვიჩისა და პოპოვიჩის გოლებით დასცა „თეთრ-ცისფრები“.

მოულოდნელად კარგად თამაშობს დებიუტანტი, სარატოვის „სოკოლი“, რომელსაც ქუთაისელები იონანიძე და ხვადაგიანი რატომღაც ისევ განაცხადში უწერია. „ფაკელთან“ მატჩის ბედი ფედკოვისა და უკრაინელი ორბუს ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა.

პირველი თამაში მოიგო ცსკა-მ. დაუძლურებულმა „ალანიამ“ დედაქალაქელებს ვერაფერი დაუპირისპირა. ორი პენალტიდან ერთი კი ჩვენიანის ნამუსზეა. ანგარიში 1:0 იყო, როცა ფოფხაძემ იენინი წააქცია და კორნოუხოვმა უშეცდომოდ დაარტყა. წერტილი კი ლისენკომ დასვა — 3:0 არმიელების სასარგებლოდ.

ამ უქმეებზე რუსეთის ჩემპიონატში შესვენებაა, რადგან ნაკრები ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს თამაშობს იუგოსლავიაში. 28 აპრილს კი სამარაში ტურის მთავარი შეხვედრა გაიმართება, „კრილია“ „ზენიტს“ უმასპინძლებს.

სოლოგონ გულისყმვილი

კრ. სოვეტოვი	6	5	1	0	10:1	16
ზენიტი	6	5	1	0	11:4	16
სოკოლი	6	5	1	0	8:3	16
სპარტაკი	6	4	2	0	6:2	14
ლოკომოტივი	6	3	2	1	5:3	11
ანჟი	6	2	3	1	4:3	9
სატურნი	6	2	2	2	7:5	8
როტორი	6	2	2	2	5:3	8
ტორპედო	6	2	2	2	5:7	8
ტორპედო ზილ	6	1	2	3	4:6	5
დინამო	6	1	1	4	5:7	4
ფაკელი	6	1	1	4	5:8	4
ცსკა	6	1	1	4	4:8	4
ჩერნომორეცი	6	1	1	4	4:11	4
ალანია	6	1	0	5	1:8	3
როსტსელმაში	6	0	2	4	3:8	2

ლოკომოტივი — კრილია. რუსული პარადოქსი: „ლოკომოტივის“ სამხრეთაფრიკელი იაკობ ლეკხეტო (მარცხნივ) და „კრილიას“ ბრაზილიელი ანჯელო

რუმინეთი

მე-20 ტური: გლორია — რაპიდი 0:1; ჩაჰლაული — ბაკეუ 3:0; დინამო — გაც მეტანი 4:2; ბრაშოვი — სტიაუა 2:2; ფორესტა — ნაციონალი 0:1; პეტროლული — არჯეში 2:3; როკარი — ოცელული 1:3; უნივერსიტატია — ასტრა 0:2

სტიაუა	20	11	6	3	34:21	39
დინამო	20	10	5	5	39:31	35
არჯეში	20	9	6	5	29:27	33
რაპიდი	20	8	7	5	23:18	31
ბრაშოვი	20	9	4	7	21:18	31
პეტროლული	20	9	3	8	25:21	30
გლორია	20	9	3	8	32:30	30
უნივერსიტატია	20	8	5	7	21:24	29
ასტრა	20	8	3	9	26:22	27
ოცელული	20	7	6	7	24:23	27
ფორესტა	20	7	6	7	32:32	27
ჩაჰლაული	20	6	7	7	26:30	25
როკარი	20	7	3	10	29:36	24
ნაციონალი	20	7	2	11	25:32	20
ბაკეუ	20	5	5	10	24:33	20
გაც მეტანი	20	1	7	12	13:25	10

იუგოსლავია

26-ე ტური: ჩუკარიჩკი — ვოივოდინა 1:0; რადი — ზემუნი 2:1; ნაპრედაკი — სარტიდი 1:2; ზეტა — პარტიზანი 0:2; ჟეელეზნიკი — ობილიჩი 1:1; მილიციონარი — რადნიჩკი (ნიში) 0:0; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — ბუდუჩნოსტი 4:2; სუტიესკა — ოფკ 4:2; ცრვენა ზვეზდა — ჰაიდუკი 3:0

ცრვენა ზვეზდა	26	20	4	2	65:16	64
პარტიზანი	26	21	1	4	70:22	64
ობილიჩი	26	15	5	6	41:25	50
ოფკ	26	13	5	8	41:30	44
სარტიდი	26	14	2	10	39:33	44
ჰაიდუკი	26	10	5	11	35:30	35
ვოივოდინა	26	9	7	10	35:27	34
ჟელეზნიკი	26	9	7	10	34:42	34
სუტიესკა	26	10	4	12	35:46	34
ჩუკარიჩკი	26	10	2	14	29:36	32
ზემუნი	26	8	7	11	25:35	31
ზეტა	26	7	9	10	30:40	30
რ. კრაგუევაჩი	26	8	5	13	23:41	29
ბუდუჩნოსტი	26	8	4	14	20:31	28
რადი	26	8	4	14	32:47	28
ნაპრედაკი	26	6	8	12	25:41	26
რ. ნიში	26	7	5	14	22:44	26
მილიციონარი	26	7	4	15	23:38	25

უნგრეთი

II ეტაპი

მე-12 ტური: დუნაფერი — მტკ 1:2; შოპრონი — ტატაბანია 2:0; ჰონვედი — დიორ ეტო 0:0; ზალაეგერსეგი — უიპეშტი 1:1; ვაშაში — დებრეცენი 2:2; ფერენცვაროში — ვიდეოტონი 5:0

ფერენცვაროში	12	8	3	1	24:5	31
მტკ	12	6	3	3	16:8	27
უიპეშტი	12	6	2	4	20:19	25
დუნაფერი	12	6	1	5	16:20	24
დიორ ეტო	12	6	3	3	16:13	23
ჰონვედი	12	6	3	3	23:17	22
ვაშაში	12	4	4	4	19:18	20
ზალაეგერსეგი	12	4	5	3	16:15	18
ვიდეოტონი	12	5	1	6	15:15	18
შოპრონი	12	3	4	5	15:17	16
ტატაბანია	12	1	1	10	9:28	10
დებრეცენი	12	2	0	10	16:30	9

/ ეტაპზე მოპოვებული ქულები განაბევრებულია

ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი
ძრიუ 2:1 გოლტონი

0:1 პოლდსუორთი (62), 1:1 პაესი (67), 2:1 ეშტონი (89)

ბულგარეთი

თასის 1/2 ფინალი

I მატჩები

ლოვჩი — ლევსკი (სოფია) 4:0; ლოკომოტივი (სოფია) — ველბაჟდი (კუისტენდილი) 1:1

საპასუხო მატჩები გაიმართება 2 მაისს.

ფინალი — 24 მაისს

მაკედონია

თასის 1/2 ფინალი

I მატჩები

სკუნდა (ტეტოვო) — სლოგა ოუგომაგნატი (სკოპიე) 0:1; პელისტერი (ბიტოლა) — კარაორმანი (სტრუგა) (I) 1:2

საპასუხო მატჩები გაიმართება 3 მაისს

ვინ არის, რა უნდა?!
უცნობილესი უცნობი „მანჩესტერში“

კარგად დააკვირდით გუშინწინ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ გადაღებულ ამ ფოტოს და გვითხარით — ვინ დგას ენდი კოულის გვერდით. ოღონდ არ თქვათ, ნიკი ბათიო — ჩვენ მარცხნიდან პირველ კაცზე გეკითხებით.

კარგით, ნუღარ იწვალებთ: თქვენ კი არა, გუშინ მთელი ინგლისი არკვევდა ამ ადამიანის ვინაობას. „გაგებაში არა ვართ“ — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეს-ატაშემ. ცხადია, თავად მოთამაშეებს ძნელი მატჩის წინ ამისთვის არ ეცალათ და შესაძლოა, ზოგიერთს არც შეუმჩნევია, რომ მათ გვერდით იმავ ფორმაში გამოწყობილი სრულიად უცხო პიროვნება აღმოჩნდა.

საგონებელშია უეფაც, უსაფრთხოების სამსახურიც და მატჩის დელეგატის ცნობებს ელიან.

ჩვენი აზრით, იქაური კახი კავსაძე უნდა იყოს, თუმცა მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

მანჩესტერმა ბირჟაზეც წააგო

ვისაც საბირჟო საქმეებისა რამე გაეგება, იცის, რომ სულ უმნიშვნელო ამბავსაც შეუძლია კომპანიის აქციათა კურსის აწევა ან დაწევა.

შევნიშნოთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიც“ სოლიდური კომპანიაა, საფეხბურთო ბიზნესში უპირველესია და მისი „ბაირთან“ მარცხი უმნიშვნელო ამბავი სულაც არაა. მარცხს გუნდის კაპიტნის რიო კინის ცხელ გულზე ნათქვამიც დავუმატოთ, შემადგენლობა სერიოზულ გადახალისებას საჭიროებსო და ბირჟაზე „იუნაიტედის“ აქციათა გაუფასურებასაც ლოგიკური ახსნა მოეძებნება.

გაუფასურებაში აქციათა ფასის 4,5 პროცენტით კლებას ვგულისხმობთ, რასაც მყარ ვალუტაში თუ გადავიყვანთ, ოცი მილიონი გირვანქა გამოვა. გუშინ დილით მობირჟავეთ თითო აქციის შეძენა 170 გირვანქად შეეძლოთ, თუმცა პირველის ნახევრისთვის „მანჩესტერმა“ ცოტათი გამოიკეთა პოზიცია და ფასი 175,5 გირვანქამდე გაიზარდა.

ბირჟის მაკლერმა ამ ამბავს ასეთი კომენტარი გაუკეთა: ოთხშაბათის მარცხმა ხალხი დააღონა და ფასის დაცემაც წამიერი გულგატეხილობის შედეგი იყო, თორემ სხვამხრივ „მანჩესტერს“ არაფერი ეშუქრებაო.

გიორგი დარჯანია

დაბრუნეთ, ძაკერონი!

ღმერთმა ნუ ქნასო, შეიცხადებს „მილანის“ თავგადაკლული ქომაგი, ჩეზარე მალდინისა და მაურო ტასოტის ხელში გუნდმა ძლივს თამაში დაიწყო და გვინდა ახლა ჩვენ ალბერტო ძაკერონიო?

„მილანის“ თავგადაკლული ქომაგი მართლაც ბევრი იქნება, მაგრამ არის ერთი კაცი, რომელსაც მწვრთნელის შეცვლა სულაც არ ეამა. „მილანის“ მეკარეზე კრისტიან აბიატიზე მოგახსენებთ.

ძაკერონის დროს აბიატის არაფერი ეშუქრებოდა, მუდამ სასტარტო შემადგენლობაში იყო და ბრაზილიელი დიდა მაშინდა შეჰყავდათ, თუ აბიატის ტრავმა ჰქონდა.

მალდინიმ და ტასოტიმ ყველაფერი აურიეს. გაახსენდათ, რომ „მილანს“ მესამე მეკარეც ჰყავს — სებასტიანო როსი და მას ენდობიან. როსიმაც, აბიატის ჯინაზე, ოთხ მატჩში ერთი გოლიც არ გაუშვა და კლუბს ათი ქულის მოხვეჭაში დაეხმარა.

გულდაწყვეტილმა აბიატიმ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მწვრთნელებს დაემუქრა, სეზონის ბოლომდე მოვიცდი და პირველ მეკარედ თუ არ დამაბრუნებთ, სხვა გუნდისთვის გავირჯებიო.

მეკარის ამ განცხადებამ ევროპულ კლუბთა სელექციონერები უნდა დააინტერესოს, თუმცა აბიატის ფასიც გვარიანი ადევს — დაახლოებით თორმეტი მილიონი დოლარი.

გიორგი დარჯანია

კრისტიან აბიატი „მილანის“ მაისურას იხდის

ლუიშ ფიგუს (მარცხნივ) უცხვირპირო თურქებმა ცხვირი გაუტეხეს

ფიგუს ცხვირი

„გალათასარაისთან“ მატჩში ლუიშ ფიგუ ემრე ბელოზოღლუს შეასკდა და ცხვირი გაიტეხა.

ცხვირი ვის არ გაუტეხია, მაგრამ ფიგუს ცხვირი სულ სხვაა. ეს კაცი ბურთს თავს ურტყამს და ცხვირგატეხილს ეგებ შეეშინდეს.

გუშინ პორტუგალიელს ოპერაციაც გაუკეთეს, რაკი ისე არ უჭირს, რომ კეხის გასასწორებლად ორი კაპიკი ვერ გაიმეტოს. თუმცა ფიგუ რა შუაშია, ექიმებს ხომ კლუბი ისტუმრებს. ფიგუს ცხვირის გატეხვა, ასე ვთქვათ, საწარმოო ტრავმაა.

ამ უქმეებზე კი „რეალი“ „სარაგოსას“ ხვდება და ფიგუ ვერ ითამაშებს — ნაოპერაციებ ცხვირს გაფრთხილება სჭირდება.

გიორგი დარჯანია

ინგლისურმა „ჩელსიმ“ სურვილი გამოთქვა, „ბრედფორდის“ თავდამსხმელი ბენიტო კარბონე შეიძინოს. ლონდონელთა თავკაც კლაუდიო რანიერის აზრით, იგი საუკეთესო შემცვლელია ჯანფრანკო ძოლასი, რომელიც სეზონის ბოლოს „სტამფორდ ბრიჯის“ დატოვებას და იტალიაში დაბრუნებას აპირებს. წლეულს „ბრედფორდს“ პრემიერლიგიდან გავარდნისგან ალბათ ვეღარაფერი იხსნის, გუნდს კი საკარაუდოდ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დატოვებს, მათ შორის კარბონეც, რომლის შეძენის სურვილსაც ცოტა ხნის წინ „მიდლსბრო“ გამოთქვამდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. ისიც აღსანიშნავია, რომ „შეფილდ უენსდის“ ყოფილი ფეხბურთელის გადაბირებით რამდენიმე იტალიური კლუბია დაინტერესებული.

იტალიური „ბარის“ მეკარემ ჟან ფრანკო ჟილემ სერია A-ს წინა ტურში, „ნაპოლის“ წინააღმდეგ მატჩში, ტრავმა მიიღო და ახლა „ბოლონიასთან“ შეხვედრას გამოტოვებს. ფრანგის ნაცვლად კარში ანტონიო ნარკისი ჩადგება. ჩემპიონატის აუტსაიდერებს მომავალ ტურში ვერც თავდამსხმელი ხაიმე ვალდერი დაეხმარება, რომელიც ჩილეს ნაკრებშია გამოძახებული. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდება ჯონათან სპინეზი, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. „ბარი“ ახლა ბოლო ადგილზეა და სერია A-ს ალბათ დატოვებს. თუმც გუნდის კაპიტან დანიელ ანდერსონს იმედი ჯერ არ დაუკარგავს და აცხადებს, ბოლო მატჩამდე უნდა ვიბრძოლოთო.

ინგლისური „ლესტერის“ თავკაცმა პიტერ ტეილორმა სასიხარულო ამბავი შეიტყო. გუნდის სამმა წამყვანმა მოთამაშემ — გარი ტაგარტმა, მეტიუ ჯოუნსმა და ფრენკ სინკლერმა ტრავმა მოიშუშეს და მოსალოდნელია, რომ სამივემ თამაში უკვე პრემიერლიგის მომავალ ტურში შეძლოს. თუმც აღსანიშნავია, რომ კლუბში დაშავებული მოთამაშეები კიდევ დარჩნენ — მეტ ელიოტი, რობი სევიჯი და მაზი იზეტი. პიტერ ტეილორმა განაცხადა: „ბოლო ხანს აშკარად არ გვიმართლებს, თუმცა ამჟამად სასიხარულო ამბავი შევიტყვე, ტაგარტის, ჯოუნსისა და სინკლერის დაბრუნება გუნდს საგრძნობლად მოაძლიერებს“.

იტალიის ჩემპიონატის ლიდერ „რომას“ მომავალ ტურში „უდინეზეს“ წინააღმდეგ ორი წამყვანი მცველი დააკლდება. არგენტინელი ვალტერ სამუელი შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს, ბრაზილიელ ძაგოს კი ტრავმა აწუხებს და მისი მინდორზე გამოჩენა მეტად საეჭვოა, თუმცა მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ბრაზილიელის თამაშის იმედი ჯერ საბოლოოდ არ გადაწურულა. ამ დღეებში ძაგოს ექიმები კიდევ ერთხელ გასინჯავენ და საბოლოო პასუხსაც მაშინ იტყვიან.

გერმანულმა „ჰერთამ“ „შტუტგარტის“ ნახევარმცველ რობერტუ პინტუ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა. პორტუგალიელმა ბერლინურ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 21 წლის პინტუ „შტუტგარტს“ დაახლოებით ხუთი წლის წინ შეუერთდა, ამ სეზონში მან გუნდის შემადგენლობაში თითქმის ყველა შეხვედრა ჩაატარა და ორი გოლიც გაიტანა. ზაფხულში პორტუგალიელს კლუბთან კონტრაქტი უსრულდება, ახალ შეთანხმებას კი ხელი აღარ მოაწერა.

რუმინულმა „უნივერსიტატიამ“ ახალი მწვრთნელი დაასახელა. კრაიოვის გუნდს ამიერიდან ნიკრების ყოფილი მოთამაშე ნიკოლაე უნგურიანუ უხელმძღვანელებს. „ახალმა მწვრთნელმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმც წარმატების შემთხვევაში შესაძლოა, შეთანხმება კიდევ გავახანგრძლივოთ“ — განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა მმართველმა გეორგე ნეტუმ. წინა მწვრთნელმა ილიე ბალაკიმ გუნდს მხოლოდ ოთხ შეხვედრაში უხელმძღვანელა. მერე კი მოთამაშეებთან უთანხმოების გამო გადადგა.

არგენტინელმა მცველმა ნესტორ ფაბრიმ კუნთი დაიჭიმა და საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ „ნანტს“ დაახლოებით სამი კვირა ვერ დაეხმარება. სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი წინა ტუში „ბასტიას“ წინააღმდეგ მატჩში დაშავდა. აქვე აღსანიშნავია, რომ იმ შეხვედრაში ფაბრი გააძევეს და მას დისკვალიფიკაციაც ელის.

ბანის ნაკრების მწვრთნელი სესილ ჯონს ატიქვაეფო თანამდებობიდან გადააყენეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის განცხადებით, იგი იმავდროულად ერთ-ერთი კლუბის „ჰართს ოფ ოკის“ ტექნიკური დირექტორი იყო. მან ეს ორი თანამდებობა ერთდროულად ვერ შეითავსა და საბოლოოდ ნაკრებიდან წასვლა არჩია. აღსანიშნავია, რომ იგი ეროვნულ ნაკრებში იანვარში მივიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. ფედერაციას ახალი მწვრთნელი არ დაუსახელებია, თუმცა სავარაუდოდ ეს ფედერაციის ერფთ-ერთი მოხელე ფრედ ოსამი იქნება.

შირერის მუხლი ამერიკაში ნახმს

ალან შირერი

ალან შირერი ამ სეზონში „ნიუკასლ იუნაიტედს“ ვეღარ დაეხმარება. ჯორდებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ 30 წლის თავდამსხმელი მარჯვენა მუხლის რთულ ტრავმას მოირჩენდა და პრემიერლიგის დარჩენილ მატჩებში მაინც გამოჩნდებოდა მინდორზე, მაგრამ ექიმების დიაგნოზით, იგი ამ სეზონში თამაშს ვეღარ შეძლებს.

შირერმა მუხლზე ოპერაცია დეკემბრის მიწურულს გაიკეთა და მას შემდეგ მკურნალობს, მარტში იგი ამერიკაში გაემგზავრა. ცნობილმა ექიმმა სტიდმანმა გასინჯა და დააიმედა, თამაშს მალე დაიწყებო, მაგრამ ახლანდელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ტრავმა ჯერაც არ მოშუშებულა.

„ექიმების დასკვნით, მუხლი სერიოზულად მაქვს დაშავებული, ამიტომ ამ სეზონში თამაშის ყოველგვარი იმედი გადამიწურეს“ — განაცხადა შირერმა.

ინგლისელმა მუხლი ჯერ კიდევ ევრო 2000-ზე დაიზიანა, შემდეგ უმკურნალეს და „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაში დაიწყო. წლის ბოლოს ისევ დაშავდა, რის გამოც ოპერაცია დასჭირდა, თებერვალში კვლავ დაუბრუნდა მინდორს, თუმცა, როგორც გამოჩნდა, ტრავმა ბოლომდე არ ჰქონდა მოშუშებული. ამის გამო მალევე გაუმიზეზდა და მერე აღარც უთამაშია.

„მომავალ თვეში კვლავ ამერიკაში გავემგზავრები. ექიმი სტიდმანიც საბოლოო პასუხს მეტყვის. იმედი მაქვს, რომ ოპერაცია აღარ დამჭირდება“ — თქვა თავდამსხმელმა.

ნიკა ფუბლაძე

შვილებს რას ეტყვი, ანდი?

მიოლერის სხვა ცხოვრება

მიხაელა პირველი ტაიმია, ვალენტინა მეორე

სულ ცოტა ხნის წინ მათი ოჯახი ერთ-ერთი გამორჩეული იყო, ასეთი ტკბილი წყვილი გერმანიაში ბევრი არ მოიძებნებოდა. ანდი, როგორც მას სამშობლოში ეძახიან, უმისოდ ნაბიჯს არსად დგამდა. შეხვედრებზე, წვეულებებზე თუ პრეზენტაციებზე, სულ გვერდით ჰყავდა. იმ დღესაც ერთად იყვნენ, „შალკეს“ ხელმძღვანელობამ კლუბის ფეხბურთელები თავიანთ ცოლებთან ერთად რესტორანში სავახშმოდ დაპატიჟა. შინ მიბრუნებულმა სახელოვანმა ფეხბურთელმა მეუღლეს თავისი გადაწყვეტილება გაუმხილა. ცალკე უნდა გადავიდე, უთხრა ანდრეას მიოლერმა ცოლს. ეს იანვრის ბოლოს, სეზონის განახლებამდე ორი დღით ადრე მოხდა.

გასულ შაბათს მიუხვენში „ბაიერნთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ „შალკეს“ ჰოლანდიელ თავკაც ჰუუბ სტევენსს ახალი საფიქრალი გაუჩნდა — როგორ ფორმაში იყო ანდრეას მიოლერი, გუნდის ხერხემალი.

33 წლის ნახევარმცველი ვარჯიშებზე მხნედ გამოიყურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მის გარშემო დიდი აჟიოტაჟი ატყდა, 1990 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონს ეტყობოდა, მომავალი მატჩისთვის მზად იყო.

ისე, რატომ არ უნდა ყოფილიყო? მერე რა, რომ ორიოდე დღის წინ მიხაელას განქორწინება სთხოვა? სამაგიეროდ, ცხოვრების ახალი თანამგზავრი იპოვა, 23 წლის ვალენტინა, რომელთანაც თავს, როგორც ამბობს, ჩინებულად გრძნობს...

გერმანელებს კი გული სწყდებათ. გული სწყდებათ, ასეთი ლამაზი ოჯახი რომ დაინგრა და ყველაფერში მიოლერს ადანაშაულებენ. ანდრეასი და მასზე ერთი წლით უმცროსი მიხაელა 9 წლის წინ შეუღლდნენ. ერთმანეთი დიდი ხნის წინ, სკოლაში გაიცნეს. ფეხბურთელს მომავალი (თუ ყოფილი) მეუღლე ერთი ნახვით შეჰყვარებია, მისი გულის დასაპყრობად კი გვარიანი ოფლისღვრა და ნერვიულობა დასჭირვებია. საბოლოოდ ყველაფერი „ჰეფი ენდით“ დასრულდა, 1992 წელს წყვილმა 400-კაციანი ქორწილი გადაიხადა. ამ ხნის განმავლობაში მათ სამი შვილი შეეძინათ, სამივე გოგო. უფროსი, ვალენტინა ამჟამად რვა წლისაა, კრისტინა — ხუთის, მიშელი კი სულ რაღაც ექვსი თვის გახლავთ.

მიშელი ახალდაბადებული იყო, ანდრეასი ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ ბუტიკს რომ ეწვია. მეუღლისთვის საჩუქარს ეძებდა, სიურპრიზი უნდა გაეკეთებინა და გაუკეთა კიდეც — ვალენტინა გაიცნო, რომელიც იქ გამყიდველად მუშაობდა.

„მიხაელასგან უნდა წამოვიდე“ — უთხრა ერთი თვის შემდეგ ვალენტინათი მოხიბლულმა მიოლერმა თავის მეგობარ ანდრეას ბრემეს, ასევე 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, ამჟამად „კაიზერსლაუტერნის“ თავკაცს. ნუ იზამ ამას, ცოტა ხანი მაინც შეიკავე თავი, ეგ გატაცება მალე გაივლის და მიხაელასთან დაბრუნება მოგინდება, მერე შეიძლება გვიან იყოსო, ურჩია ძმაკაცმა. ანდრეასმაც დაუჯერა და ახალ სატრფოსთან შეხვედრა მიხაელასგან მალულად გააგრძელა, თუმცა ბოლოს მიხვდა, ამას აზრი არ ჰქონდა და...

ცოლს ქმრის ერთგულებაში ეჭვი მალე შეჰპარვია, თუმცა ფეხბურთელის ნათქვამმა, ცალკე უნდა გადავიდეო, მაინც შოკში ჩააგდო. მეორე დღეს ბავშვებს ხელი მოჰკიდა და ფრანკფურტში გადავიდა, სადაც ახლა კოსმეტოლოგად მუშაობს. იქნებ შერიგდნენ, იმედს არ კარგავდნენ წყვილის ქომაგები, მაგრამ... რამდენიმე დღის წინ ანდრეასმა ცოლს განქორწინება სთხოვა და პრესაში ფეხბურთელის კრიტიკაც დაიწყო. მიოლერს საქციელს უწუნებენ, მეუღლე სამი ბავშვით მიატოვა და თავისზე ათი წლით უმცროსს დასდევს, ეგ როგორ გააკეთაო.

„გასაგებია, რომ ბევრს ჩემი არ ესმის. მათთვის გაუგებარია ეს ნაბიჯი, მაგრამ ამის ახსნას არასოდეს დავიწყებ. უბრალოდ ვიტყვი, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება წარმოუდგენლად გამიძნელდა. ვალენტინასთან ერთად ცხოვრებით კმაყოფილი ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ. მიხაელას და ბავშვების სამუდამოდ მიტოვება აზრადაც არ მომსვლია. მათთან ვიქნები ყოველთვის, როცა ეს საჭირო იქნება, გვერდით დავუდგები და დავიცავ. ჩემმა შვილებმა იციან, რომ მამა არ დაუკარგავთ. მე ისინი ისევე მიყვარს, როგორც მიხაელასთან განშორებამდე“ — ეს სიტყვები ანდრეას მიოლერმა გაზეთ „ბილდს“ უთხრა.

„ბილდს“ კი აინტერესებს, როგორ გადაიტანს ფეხბურთელი ამიერიდან წარუმატებლობებს საფეხბურთო მინდვრებზე. აქამდე მისი წამალი მიხაელა იყო, რომელიც ყოფილ ქმარს თურმე ყველა დარდს უქარვებდა.

„მიხაელა რომ არ ყოფილიყო, გავგიჟდებოდი“ — ეს სიტყვები მიოლერს 1998 წელს, საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელთა სამარცხვინო გამოსვლის შემდეგ უთქვამს. თუმცა გაზეთი „ველტი“ ირონიით აღნიშნავს, რაც ანდრეასი ვალენტინასთან ერთად ცხოვრობს, ბევრად უკეთ ათამაშდა, თითქოს ცხოვრება მეორედ დაიწყოო.

ვანო ოკროპირიძე
ბერლინიდან

გრიპშემჭრილი ზაგორაკისი ფეხბურთის გამჭრეგა

ბერძნული „აეკის“ ნახევარმცველ თეოდორის ზაგორაკისს ამას წინათ გრიპის ვირუსი დასტაკებია და რომ არა გუნდის სამედიცინო სამსახურის უფროსი, ფეხბურთელს საყვარელი საქმიანობისთვის ცოტა ხნით დასვენება მოუწევდა.

უექიმეს ზაგორაკისს და ისიც ჩვეულად ათამაშდა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხანებში ის საკუთარ შესაძლებლობებზე მეტსაც აკეთებდა. უცნობია პრეპარატის სახელი, რომელმაც ფეხბურთელი მწვანე მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ, მავანთა აზრით, ზაგორსკისის გრიპის წამალი აკრძალული ანაბოლიკი გახლავთ.

ეს ამბავი მარტის თვეში გახმაურდა. ფეხბურთელის დოპინგ-ტესტის ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა. დადებითი სამედიცინო ენაზე, თორემ ნახევარმცველისთვის შედეგები, შესაძლოა, საკმაოდ უსიამოვნო და უარყოფითი იყოს. ზაგორაკისმა განმეორებითი დოპინგ-ტესტიც ჩაგდო.

აპრილის ანალიზმა ფეხბურთელის დოპინგთან სიახლოვე კვლავ დაადასტურა. არადა, საწყალი კაცი ირწმუნება: მე არაფერ შუაში ვარ, ორგანიზმში დოპინგისმაგვარი ნივთიერებების აღმოჩენა სულ ექიმის დანიშნული გრიპის საწინააღმდეგო ძლიერმომქმედი წამლის შედეგი იქნებაო.

ზაგორაკისს მხარი „აეკმაც“ დაუჭირა და საქმეს ახლა საბერძნეთის ფეხბურთის ასოციაციის სასამართლო კომისიაში განიხილავენ. გუნდმა კი თქვა, ჩვენს კაცს არავის დავაჩაგვრინებთო, მაგრამ ვითარებას სხვაგვარი პირი უჩანს. საქმის მოსაგებად გუნდსაც და ფეხბურთელებსაც ცოტა სხვანაირი ტყუილი უნდა მოეფიქრებინათ. ვგონებთ, ამ საკენკით საბერძნეთის ფეხბურთის მუსვეურები არ მოტყუვდებიან. თეოდორის ზაგორაკისს, რომელსაც ნაკრების ბოლო თამაშში კაპიტნის სამკლავური ამშვენებდა, არცთუ ცოტა ხნით მოუწევს დასვენება. ორწლიანი დისკვალიფიკაცია დოპინგის მოყვარულთათვის ჩვეული სასჯელია.

გიორგი გამყრელიძე



თეოდორის ზაგორაკისი

ძია კლოდის გუნდში კაცები თამაშობენ —
გვეუბნება
მერაბ რატიშვილი.
სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს,
მსოფლიოს თასზე მაინც გავალთ
— გვარწმუნებს ლეონსიო, ანუ
ქართული რაგბის ვარსკვლავი
ლევან ცაბაძე. ეროვნულზე კი
ვირტუალური ჯიგრისწვა
გაიმართა — ასე აფასებს
ფეხბურთელთა ნაკრების თამაშს
სოლომონ გულისაშვილი.
ბევრიც სხვა და მაიკლ
ოუენის პლაკატი და სიახლე:

ფასი მხოლოდ
1 ლარი

№3 (13) აპრილი, 2001 ფასი 1 ფასი

სპორტული ყურნალი

სარბიელი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

საფლავები

ტრაგიკულ ამბავთა ქართული ქრონიკა

ძველი სურათების თვალიერებისას კაცს ზოგჯერ ღიმილი გადაგეფინება, უფრო ხშირად კი გულს სევდა და ნაღველი შემოგაწვება, რადგან ფოტოზე აღბეჭდილთაგან ბევრნი ჩვენს შორის აღარ არიან. ახლაც, საალდგომოდ, შინ ჩემს ფოტოარქივს რომ ვათვალიერებდი, მზერა ერთ ასეთ სევდისმომგვრელ სურათზე შევაჩერე და ფიქრებით 1978 წელში გადავედი შხარის ყინვარზე. იქ შოთა მირიანაშვილის მთამსვლელთა ექსპედიციის ძირითადი და დამხმარე ჯგუფის წევრები ვიყავით დაბანაკებულნი. იმ დღეს ყინვარზე მყოფნი შევჯგუფდით და ოთარ ხაზარაძემ სამახსოვრო სურათი გადაგვიღო. მის გარდა კადრს მიღმა ორნი დაგვრჩნენ — დათო ბაიდაური და ვიქტორ რიბინსკი. ისინი ჯანღას მასივზე ადიოდნენ.

ოთარ ხაზარაძის ფოტო

დგანან: ზურაბ ათანაზევიჩი, შაქრო გაბისიანი, სერგო ბარლიანი, დავით მეძმარიაშვილი, გიორგი ნაიდენი; სხედან: ბესო ბარკალაია, ავთანდილ გურასაშვილი, შოთა მირიანაშვილი და იგი აბაშიძე

სამწუხაროდ, დღეს აღარც ერთია ცოცხალი და აღარც მეორე. არც იმ სურათზე აღბეჭდილი ცხრიდან ოთხი მთამსვლელია ჩვენს შორის. დაღუპულთაგან დათო ბაიდაურის გარდა ყველას: ჩვენს „კუპატს“ — ზურაბ ათანაზევიჩსაც, სერგო ბარლიანსაც, გიორგი ნაიდენსაც, ვიქტორ რიბინსკისაც და დათო მეძმარიაშვილსაც მთაში უწიათ სიკვდილმა. მათგან სერგო ბარლიანი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი, 1989 წელს კავკასიონზე, მყინვარწვერის ფერდობზე დაიღუპა.

მაშინ მან ახალბედები წაიყვანა მთაში, მწვერვალიც დაალაშქრინა, ალპინიზმს აზიარა და გახარებულნი უკან რომ უნდა ჩამოეყვანა, იმ დროს დაიძრა ტყვიისფერი ღრუბლები. იქუხა. ზეცაში ელვა საშინლად დაიტოტა დედამიწამდე და...

ყველა გადარჩა, სერგო ბარლიანი კი...

მანამდე, 1980 წელს, ყველა დანარჩენს შორეულ პამირზე, ერთ ექსპედიციაში დაატყდათ უბედურება: ვახტანგ ფირცხალავა საბჭოთა კავშირის უმაღლეს პიკზე ჰიპოქსიის შედეგად დაიღუპა. დავით მეძმარიაშვილი, ზურაბ ათანაზევიჩი და გიორგი ნაიდენი „როსიის“ პიკიდან ჩამოსვლისას გადაიჩეხნენ. ჯგუფის ხელმძღვანელი ვიქტორ რიბინსკი იმ დროს მათ თან არ ახლდა. იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მის გარდა ყველას ცხედარი მოძებნეს და ჩამოასვენეს.

ზოგის ვარაუდით რიბინსკი ჯგუფს პლატოზე დაშორდა და კომუნიზმის პიკისკენ გაემართა მასზე „სოლო“ ასვლის განსახორციელებლად.

ასე იყო თუ ისე, მისი გაუჩინარების და საერთოდ „როსიაზე“ დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებს ვერც ვერასოდეს გავიგებთ, რადგან იმ ჯგუფიდან ამბის ჩამომტანი აღარავინ დარჩა. იმ ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმა რამდენიმე დღის განმავლობაში ამაოდ ეძებეს რიბინსკის ასავალ-დასავალი, დანარჩენები კი, საშინლად დასახიჩრებულნი, მონახეს და თბილისში ჩამოასვენეს. განუყრელი მეგობრები ზურაბ ათანაზევიჩი და გიორგი ნაიდენი არც მშობლიურ თბილისში დააშორეს ერთმანეთს და საბურთალოს პანთეონში გვერდი-გვერდ მიაბარეს მიწას. დავით მეძმარიაშვილი სახელგანთქმული მთამსვლელი მამის, ასევე შორეულ მთებში დაღუპული ჯუმბერ მეძმარიაშვილის გვერდით დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

პამირის მთებში დატრიალებული ეს უბედურება იმ დროისთვის ქართულ მთამსვლელობაში ყველაზე დიდი ტრაგედია იყო.

***

მთაში უბედურ შემთხვევებს გვერდს ვერ აუვლიო, უთქვამს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველამსვლელ თენსინგ ნორგეის.

მართლაც, კაცს განგების გარდა ვერანაირი ოსტატობა ვერ გიშველის, თუ ქვათაცვენაში მოყვები, თავს ზვავი დაგატყდება, მეხი დაგეცემა ან ფრიალო კლდეზე დაკიდულს მოწყვეტილი ქვა თოკს გადაგიჭრის.

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ქართველმა მთამსვლელებმაც, მაგრამ მაინც მწვერვალებისკენ მიუწევდათ გული.

„ჯუმბერი! კუხო! და ილიკო!..

საშინელებაა, ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია!“

ასეთი ჩანაწერი გაჩნდა გურამ თიკანაძის უბის წიგნაკში, როცა 1962 წელს შორეულ ტიან-შანზე დაიღუპნენ ბრწყინვალე ქართველი მთამსვლელები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე და ილიკო გაბლიანი.

ეს სიტყვები, ერთი წლის მერე, თვითონ გურამზეც გამართლდა...

***

ყველაფერი 215 წლის წინათ დაიწყო. მაშინ, 1786 წლის ერთ მშვენიერ დღეს ორი შამონელი, მონადირე ჟაკ ბალმა და ექიმი მიშელ პაკარი დასავლეთ ევროპის უმაღლეს მწვერვალზე, მშობლიურ მონბლანზე რის ვაივაგლახით ოთხით აბობღდნენ, იქიდან კი ლამის დაბრმავებულნი, სახედასიებულნი, ტუჩებდახეთქილნი, გაყინულნი და სიკვდილს გადარჩენილნი გაჭირვებით დაბრუნდნენ სოფელში.

ალპების უმაღლეს მწვერვალზე ამგვარად დაიბადა ალპინიზმი. ასე „მოიწამლნენ“ მთების სიყვარულით ადამიანები. მერე და მერე ეს „ეპიდემია“ გავრცელდა მთელს ალპებზე, კავკასიონზე, პამირზე, ტიან-შანზე, ჰიმალაიზე, ყარაყორუმზე, ჰინდკუშზე, კორდილიერებზე... იგი გავრცელდა ყველა კონტინენტზე, სადაც კი დიდი თუ პატარა მწვერვალებია დი იქაც, სადაც საერთოდ არ არის თოვლიანი პიკები.

იმ პირველი გამარჯვების მერე მთამსვლელთა უდიდესი სიხარული და ბედნიერება სწორედ მწვერვალებზე ასვლებთანაა დაკავშირებული.

მაგრამ მთამსვლელებს არაერთი უდიდესი მწუხარება და ტრაგედიაც მწვერვალებიდან ახსოვთ. მთელს დედამიწაზე არ დარჩენილა მთათა სისტემა, რომელიც მთამსვლელთა მრავალ ტრაგიკულ საიდუმლოს არ ინახავდეს. მდუმარე მთებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ვინ იცის რამდენ ტრაგედიას აეხდებოდა ფარდა, რამდენი უგზო-უკვლოდ დაკარგული მთამსვლელის ყინულის საფლავი გამოჩნდებოდა, რამდენი ასვლის ისტორია დაიწერებოდა თავიდან...

მთებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ისინი გვიამბობდნენ მთამსვლელთა დამოკიდებულებას თავინთი დაღუპული თანაგუნდელებისადმი, მათი ცხედრების შემდგომ ბედზე. ამ მონათხრობიდან ალბათ ნათლად გამოჩნდებოდა არა მხოლოდ მთამსვლელთა, არამედ ზოგადად ხალხთა დამოკიდებულება ტრაგედიებისადმი. ამ მხრივ მთები ალბათ განსაკუთრებით ორი ერის მთამსვლელთა ძალზე განსხვავებულ დამოკიდებულებას გამოარჩევდნენ. ესენი იქნებოდნენ შერპები და ქართველები, ხოლო ყველა დანარჩენი ალპინისტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთ თოკში ჩაბმული აღმოჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მთაში დატრიალებული ტრაგიკული ისტორიები ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს.

სხვათა უბედურებაზე სხვა დროს მოგითხრობთ, ახლა კი გავიხსენოთ ჩვენი მთამსვლელების თავსდატეხილი ტრაგედიები, რომლებმაც საქართველოში და სხვაგანაც დიდი რეზონანსი გამოიწვიეს.

***

ქართველ მთამსვლელთა პირველი ტრაგედია 1929 წლის აგვისტოს თეთნულდზე დატრიალდა. მაშინ ქართული ალპინიზმის ფუძემდებელი გიორგი ნიკოლაძე, სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი კავკასიონის ამ ერთ-ერთ ულამაზეს და უმაღლეს (4853 მ.) მწვერვალზე ადიოდნენ. სამწუხაროდ, იქიდან მხოლოდ გიორგი ნიკოლაძე დაბრუნდა. ყველაფერი ელვისუსწრაფესად მოხდა: პიმენს ფეხი დაუცდა, ყინულის ფერდობზე მოსხლტა, სიმონმა მისი გადარჩენა სცადა, მაგრამ ორივე უფსკრულში გადაიჩეხა.

გიორგი ნიკოლაძეს ამ თავზარდამცემი ამბის შესახებ დღიურში ჩაუწერია: „პიმენი, სიმონი, ორი წერაყინი და დროშა — ყველაფერი ყინვარის ძაბრში ჩავიდა, მარცხნივ გადაუხვია და ჩემი მხედველობიდან მიიმალა. უცებ შეწყდა ხმაური. დადუმდა ყველაფერი — მხოლოდ მე დავრჩი ამ ყინულისა და სიკვდილის სამყაროში... რაც ამას მოჰყვა, თუ როგორ დავბრუნდი ღამის გათევის ადგილამდე — მახსოვს მხოლოდ ოდნავ, ნაწყვეტებად, თითქოს სიზმარში მოხდაო.

ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა.

საღამო ხანს დაიწყო მულახელი და მესტიელი მონადირეების მოსვლა. ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით მოდიოდნენ თავზარდაცემულნი. დაღუპვის ამბავი ელვისებური სისწრაფით გავრცელებულა მთელს ზემო სვანეთში და აუწერელი მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია მთელს ხალხზე.

ეხლა უფრო ვგრძნობ, რა უზომო სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია საწყალ პიმენს სვანებში. მონადირეები მოდიოდნენ ტირილით, თავში ცემით. აუარებელ ხალხს გამოეცხადებინა სურვილი საძებნელად წამოსვლისა“...

ამის შემდეგ ზოგმა ალპინისტმა ზურგი შეაქცია მთებს, დარჩენილებმა კი მტკიცედ ამოიჭრეს გულში თეთნულდის დალაშქვრა.

სიმონ ჯაფარიძის ძმის — ალიოშა ჯაფარიძის სიტყვები:

„არავის სჯეროდა ადამიანის ასვლა მის მწვერვალზე. ძველი თაობა სვანეთში იმასაც კი ფიქრობდა, რომ მის წვერზე რაღაც ზეციურ ძალთა სავანე არისო თითქოს, რომელთაც არ სურდათ ვინმეს შებილწა წმინდა მწვერვალი თავისი ასვლით. ვისმე დაერღვია იქ მათი მყუდროება. სწორედ ამ ძალებმა დასაჯესო სასტიკად სიმონი და პიმენი მათი უჩვეული განზრახვისა და გამბედაობისთვის, სწორედ ამ ძალებმა გამოიწვიეს 1930 წლის ზამთარში თეთნულდის კალთებზე „ჯერ არნახული“ სიმძლავრის ზვავი, რომლის ხმამ მესტიამდისაც კი მიაღწია. მისი თოვლიანი კონუსის თეთრ საბურქვეშ გაშიშვლდა შავი კლდეები. ეს ზეციური ძალა რისხვაა იმათ დასაშინებლად, ვინც ჯაფარიძეს წაბაძავს და მოიწადინებს თეთრი მთის ფეხით შეხებასო“.

და მაინც, ერთი წლის შემდეგ დალაშქრეს თეთნულდი. მასზე პირველამსვლელები აღმოჩნდნენ სიმონ ჯაფარიძის და-ძმა — ალექსანდრა და ალიოშა, იაგორ კაზალიკაშვილი და ალსილ ავალიანი.

მანამდე ტრაგედიიდან ათი დღის ძებნის მერე ქართველმა მთამსვლელებმა სიმონ ჯაფარიძისა და პიმენ დვალის ცხედრებს მიაგნეს და ჩამოასვენეს. მოგვიანებით მათი დაღუპვის ადგილზე მემორიალური დაფაც დაამაგრეს, მაგრამ ეს წლების მერე იყო, მანამდე კი ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების, იგორ კაზალკაშვილისა და ალსილ ავალიანის ლაშქრობიდან სულ რაღაც ათიოდე დღე გავიდა და თეთნულდიდან ახლა უკვე შოთა მიქელაძემ და ასმათ ნიკოლაიშვილმა გადმოხედეს სვანეთის კოშკებს. იქიდან დაბრუნებულებმა მწვერვალ გესტოლას დალაშქვრაც გადაწყვიტეს. მწვერვალამდე სულ რაღაც ორმოცდაათიოდე მეტრიღა რომ დარჩათ, მოულოდნელად ზვავი მოწყდა, ორივე შიგ ჩაითრია და ქვემოთ გააქანა. საბედნიეროდ, ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ ზვავმა მათი ზურგჩანთებიც ჩაყლაპა და წერაყინებიც.

შოთას ჯაყვალა დარჩა და იმით თხრიდა ჩამოსასვლელ საფეხურებს, რასაც სამი დღე მოუნდა. შოთა მიქელაძეს ფეხები მოეყინა, ასმათ ნიკოლაიშვილს — ხელები. ასმათის ხელების მოყინულობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მომდევნო 1932 წელს ექიმებმა მთაში სიარულის უფლება აღარ მისცეს. ამიტომ იგი მიქელაძესთან და ექსპედიციის ერთ-ერთ წევრთან, ინჟინერ-გეოლოგ მაზარაძესთან ერთად ველარ წავიდა მყინვარწვერზე მანამდე უვალი, ყველაზე მოკლე, მაგრამ იმავ დროს ყველაზე რთული, გველეშაპის კლდეებზე გამავალი გზით.

საუბედუროდ, ასვლისას შოთა მიქელაძე 4 900 მეტრის სიმაღლიდან მოსხლტა და დაიღუპა. ეს მეორე ტრაგიკული შემთხვევა იყო ქართული მთამსვლელობის ისტორიაში.

მიქელაძის გვამი მოძებნეს და ჩამოასვენეს დაღუპულის მეგობრებმა, მერე კი მყინვარწვერზე მის მიერ დაწყებულ გზას ასმათ ნიკოლაიშვილი, დავით წერეთელი, კაკო მარი, იაგორ კაზალიკაშვილი, ნიკო ქირიკაშვილი, შოთა ჩოფიკაშვილი და ანდრია ხეთაგური დაადგნენ და გაასრულეს კიდეც.

პირველად ასე დალაშქრეს მყინვარწვერი ყველაზე მოკლე, მაგრამ ყველაზე რთული გზით.

ავთანდილ გურასაშვილი

(გაგრძელება იქნება)



პიმენ დვალი

სიმონ ჯაფარიძე

შოთა მიქელაძე

ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები

ამ ადგილებში დაიღუპნენ პიმენ დვალი და სიმონ ჯაფარიძე.
ახლა იქ მათი მემორიალური დაფაა, რომელსაც მარჯვენა სურათზე ხედავთ

შენ მიდიხარ მონტე კარლოში?

მასტერსის სერია
მონტე კარლო (მონაკო)
თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

ალბათ, ცოტა თუ მოიძებნება დედამიწაზე ისეთი ადამიანი, მონტე კარლოში სრული კომფორტით ერთი კვირის გატარებაზე უარი განაცხადოს. რარიგ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, პროფესიონალ ვაჟ ჩოგბურთელთა დიდი ნაწილი სწორედ ამ უმცირესობას განეკუთვნება.

ხმელთაშუა ზღვის მზიან სანაპიროზე მდებარე მილიონერთა სავანეში მეტად პრესტიჟულ პირველობაზე ჩამოსვლა თავიდანვე ხელაღებით იუარეს ანდრე აგასიმ, პიტ სამპრასმა, პატრიკ რაფტერმა, ლეიტონ ჰიუიტმა და ბევრმა სხვამ. დიდი ხეირი არც იმ ვარსკვლავებმა ნახეს, ვინც მონტე კარლოში ჩავიდა: პირველ-მეორე წრის შემდეგ ტურნირს ერთადერთი საუკეთესოთა ათეულელი — გუსტავო კუერტენი და ხუთი განთესილიღა შემორჩა.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარატ საფინი თებერვალში დუბაის პირველობის ფინალში ზურგის ტრავმის მიღების შემდეგ ჯერაც ვერ მომჯობინებულა. 21 წლის რუსი კი ირწმუნება, 100 პროცენტით უკეთ ვგრძნობ თავსო, მაგრამ ფაქტები ჯიუტად სულ სხვაზე მეტყველებენ: აგერ უკვე ორი თვეა, მას ერთი მატჩიც არ მოუგია, მონტე კარლოშიც პირველ წრეში ფრანგ არნო დი პასკუალესთან შეხვედრაში სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა.

საფინი გამუდმებით ცდებოდა უკანა ხაზიდან თამაშისას, ამით შეშინებული ბადესთან მაინც ცდილობდა ქულების მითვლას, მაგრამ არც წინ გამოსდიოდა რაიმე. „მატჩის დაწყებამდე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, სამარცხვინოდ არ წავაგო-მეთქი. მჯერა, რომ ერთი ცუდად მოთამაშე საფინი ათ კარგად მოთამაშე დი პასკუალეს უდრის. სწორედ ამიტომ თავიდან დამბაული ვიყავი, თუმცა როდესაც მან შეცდომების კორიანტელი დაყენა, დავწყნარდი და მხოლოდ გადაგდებაზე დავიწყე თამაში, მეტი არც არაფერი მევალებოდა. როგორც მინიმუმ, ახლა სატრაბახო მაინც მექნება, საფინს რომ მოვუგე“ — განაცხადა ფრანგმა, რომელსაც ახალ სეზონში აქამდე სულ ოთხ მატჩში ემარჯვა.

3:6, 1:6 წაგებული შეხვედრის დროს რუსი ჩოგანს გამუდმებით კორტზე ახეთქებდა, თუმცა მოგვიანებით ჟურნალისტებთან მაინცდამაინც გაღიზიანებული ან განაწყენებული არ ჩანდა: „სასწაულები არ ხდება, მე ვერ ვიტყვი, ხვალიდან უცებ ძველებურად ვითამაშებ-მეთქი, ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აღვიდგინო. მომდევნო ტურნირზე ბარსელონაში ცოტას მოვუმატებ, კიდევ ორ-სამ კვირას ხეირიანად ვივარჯიშებ და, იმედია, როლან გაროსს საუკეთესო ფორმაში შევხვდები. ყველაზე მეტად სწორედ მისი მოგება მინდა“.

არნო დი პასკუალემ მარატ საფინი გაამწარა

პირველ წრეში წააგო საფინის თანამემამულემ, ტურნირზე მეოთხედ განთესილმა ევგენი კაფელნიკოვმაც. სოჭელ ჟენიას თიხნარის სეზონის დასაწყისში ინდიფერენტული და წარუმატებელი თამაში სჩვევია. ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილ ავსტრიელ მარკუს ჰიპფლთან 7:5, 2:6, 5:7 დამარცხდა.

ბევრისთვის მოულოდნელად, გამწარებულ ბობოლათა გვარდიას ჯერჯერობით არ შეუერთდა ინგლისელი ტიმ ჰენმანი (8). 26 წლის ბრიტს წარსულში თიხნარის მიმართ ალერგიული დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ წლეულს საძულველ საფარზე არცთუ ურიგოდ გამოიყურება. ოთხშაბათს, მეორე წრეში მთავარი მსაჯის, ლარს გრაფის ბოროტი ხრიკების მიუხედავად, ჰენმანმა არგენტინელი გასტონ გაუდიო დაამარცხა 6:4, 6:2 და პირველი ინგლისელი შეიქნა ბოლო 26 წლის მანძილზე, ვინც მონტე კარლოში ზედიზედ ორი მატჩი მოიგო.

„ჩემი წარმატების საიდუმლო ის არის, რომ თიხნარზე საოცრად მოშვებულად და თავისუფლად ვთამაშობ. აქ არც სხვები ელიან ჩემგან ციდან ვარსკვლავების დაკრეფას და არც მე ვნერვიულობ მაინცდამაინც, რაც ძალიან მეხმარება. ნეტავ, ჩოგბურთისადმი ასეთი დამოკიდებულება მუდმივად მქონდეს“ — მიაჩნია ჰენმანს.

პირველი წრე: მაგნუს გუსტავსონი (შვედეთი) — ალექს კორჩა (5, ესპანეთი) 6:7 (5:7), 6:2, 6:2; ჩირეგ გულმარი (საფრანგეთი) — არნო კლემანი (6, საფრანგეთი) 6:7 (4:7), 6:1, 7:6 (7:4)

მეორე წრე: გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:2; ჰიუგო არაზი (მაროკო) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:2, 6:4; გასტონ გლანკო (ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 6:2, 7:6 (7:3); სებასტიან გროსანი (9, საფრანგეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 7:5, 6:3; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — ტომას ენკვისტი (12, შვედეთი) 2:6, 6:4, 6:2; გილერმო ჰორია (არგენტინა) — ფრანკო სკილარი (12, არგენტინა) 4:6, 6:1, 6:2; სერჰიკ პიოლინი (14, საფრანგეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 7:6 (7:2), 6:2; ტომი ჰაასი (გერმანია) — კარლოს მოია (16, ესპანეთი) 1:6, 6:3, 6:3

ჩარლტონი (აშშ)
FAMILY CIRCLE CUP
მწვანე თიხნარი
საპრიზო 1,2 მილიონი $

Family Circle Cup, ანუ ქართულად „საოჯახო წრის თასი“ აქამდე 28 წლის მანძილზე მზიან ჰილტონ ჰედ აილენდში ტარდებოდა, მაგრამ გარკვეული საკონტრაქტო უთანხმოებების გამო ორგანიზატორებმა 2001-დან სამხრეთ კაროლინას შტატში, უფრო თანამედროვე „დანიელის საჩოგბურთო ცენტრში“ გადაიტანეს. შეიძლება ახალი, ათი ათასკაციანი ცენტრალური კორტი მართლაც უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს და სარფიანიც აღმოჩნდეს, მაგრამ თავად ჩოგბურთელები ცვლილებით კმაყოფილნი ნამდვილად არ არიან.

საქმე ის არის, რომ ჩარლტონი წელიწადის ამ დროს საჩოგბურთო ამინდებით განებივრებული არ არის. „დილით რომ გავიღვიძე, თავი ინგლისში მეგონა. ამ ტურნირზე რომ ვთამაშობდით, სულ სასიამოვნო და თბილი ამინდი იყო, ახლა კი... მატჩის დასაწყისში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე გავმთბარიყავი, თუმცა დიდად თბილმა მოსასხამმაც ვერ მიშველა — განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა მეორე წრეში ბიანკა ლამადეს 7:6 (7:4), 6:1 დამარცხების შემდეგ — სწორედ ამიტომ თავიდან ჩოგბურთზე ფიქრიც კი მიჭირდა და საზიზღრად ვთამაშობდი“.

ქარსა და ყინვას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფავორიტი, არანჩა სანჩესვიკარიო (5) შეეწირა. ესპანელმა, რომელიც წლეულს ტურნირზე სარეკორდოდ, მეთოთხმეტედ ასპარეზობდა, რუს ელენა ლიხოვცევასთან 3:6, 4:6 წააგო და თავი იმართლა, ასეთ სიცივეში ბოლოს როდის ვითამაშე, აღარც მახსოვსო.

მეორე წრე: ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4, 6:3; კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 1:6, 6:3, 6:0; ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; მარი პირსი (6, საფრანგეთი) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:2, 6:2; ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) — მარისა ირვინი (აშშ) 6:2, 3:6, 6:3; ივა მაიოლი (ხორვატია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — 6:1, 6:3

ავთანდილ სვანიძე

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

მარათონი სეირნობით დასრულდა

18 აპრილი

სიეტლი 105:67 სან ანტონიო
სიეტლი: პეიტონი (31), მეისონი (25), ლუისი (18)
სან ანტონიო: სკოტი (14 ქულა, 14 მოხსნა)

ფილადელფია 86:92 ჩიკაგო
ფილადელფია: მაკკალოფი (21)
ჩიკაგო: ბრენდი (31), ჰოიბერგი (18)

ფინიქსი 98:93 იუტა
ფინიქსი: როჯერსი (14), დელკი (14)
იუტა: ოსტერტაგი (25 ქულა, 11 მოხსნა), მარშალი (18)

დალასი 120:100 მინესოტა
დალასი: ფინლი (24)
მინესოტა: ბილაფსი (21), ლოპესი (18)

ნიუ იორკი 94:88 დეტროიტი
ნიუ იორკი: ტომასი (20 ქულა, 14 მოხსნა), ჰიუსტონი (80)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (22), ვილიამსონი (19)

ორლანდო 91:103 მაიამი
ორლანდო: მილერი (20)
მაიამი: ჯონსი (22), გრინი (19 ქულა, 14 მოხსნა), მურნინგი (17)

ბოსტონი 92:97 შარლოტი
ბოსტონი: უოლკერი (32), პირსი (25)
შარლოტი: მაშბურნი (21 ქულა, 10 მოხსნა)

ვაშინგტონი 92:98 ტორონტო
ვაშინგტონი: ალექსანდერი (33), სმიტი (18 ქულა, 13 მოხსნა)
ტორონტო: კარტერი (34), პეტერსონი (20)

კლივლენდი 101:105 ინდიანა
(ძირითადი დრო 95:95)
კლივლენდი: მიურეი (22), მილერი (19 ქულა, 11 პასი)
ინდიანა: ონილი (30 ქულა, 20 მოხსნა), როუზი (22 ქულა, 20 პასი), მილერი (22)

დენვერი 110:100 საკრამენტო
დენვერი: ლაფრენცი (32 ქულა, 20 მოხსნა), ვილისი (25 ქულა, 19 მოხსნა)
საკრამენტო: პოლარდი (18 ქულა, 14 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი 81:95 ვანკუვერი
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (33 ქულა, 10 მოხსნა)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26 ქულა, 22 მოხსნა), ჯონსი (20)

18 აპრილს დასრულდა ის ექვსთვიანი მარათონი, რომელსაც რეგულარული ჩემპიონატი ეწოდება. აქედანვე ვთქვათ, რომ პირველობის ბოლო დღე ნაშუადღეოლად ვერ გამოდგა ისეთი, როგორსაც ორგანიზატორები, რეკლამის დამკვეთნი და გულშემატკივრები ისურვებდნენ. ვინაიდან პლეი ოფში მოხვედრილთა ვინაობა კარგა ხნით ადრე გაირკვა და თითქმის ყველა წყვილიც ცნობილი იყო, ბევრმა ვაჟკაცურ ბრძოლას თავი აარიდა და ოთხშაბათს სეზონის დასკვნით თამაშთა უმრავლესობა გულისამრევ ღლაბუცს დაემსგავსა.

სპლეიოფოდ გამზადებულმა გუნდებმა გაიხსენეს, შარშან რა დღეც ეწია მაშინდელ ჩემპიონ „სან ანტონიოს“. მას ტრავმამ ტიმ დანკანი გამოაკლო და გუნდი პლეი ოფის პირველივე წრიდან გავარდა. მსგავსი პერსპექტივით დამფრთხალმა კლუბებმა მეტოქეებს წამყვანი კალათბურთელები გადაუმალეს, აქაოდა ეს თამაშები ჩალად არ გვიღირს და ბიჭები რომ დაგვიშავდეს, პლეი ოფში რაღა ვქნათო. სიეტლში იქაურ „სონიქსთან“ მოთამაშე „სან ანტონიომ“, რომელიც ისედაცაა რეგულარული ჩემპიონატის ჩემპიონი, ცენტრი დენიდ რობინსონი არ გამოაჩინა, ხოლო პირველი და მეორე მექულე, შესაბამისად დანკანი და დერიკ ანდერსონი, ორიოდ წუთით ათამაშა. შედეგად სანანტონიოელთაგან 10 ქულაზე მეტი მხოლოდ ვინმე შანელ სკოტმა ჩააგდო, მთლიანად გუნდმა კი — 67, რაც მეტოქის მონაგარს, არც მეტი, არც ნაკლები, 38 ქულით ჩამორჩება. მის მეტოქე „სიეტლს“, რომელიც პლეი ოფშიც კი ვერ მოხვდა, ეს ვითომცდა სახელოვანი ძლევა თუ დარჩება გულის მოსაფხანად.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ფილადელფიაშიც, სადაც იქაური „სიქსერზი“ ლიგაში ყველაზე ხელწამოსაკრავ გუნდს, „ჩიკაგოს“ დაუხვდა. „სიქსერზის“ დამრიგებელმა ლარი ბრაუნმა იმის მიზეზად, რომ ალენ აივერსონი და დიკემბე მუტომბო დაასვენა, ტრავმები დაასახელა. შედეგად „ფილადელფიამ“ წააგო გუნდთან, რომელსაც ამ სეზონში ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თამაშები მოუგია სტუმრად. „სან ანტონიოსგან“ განსხვავებით, „ფილადელფიამ“ „საპატიო“ ანგარიშით იმიტომ წააგო, რომ თამაშს მოწყურებულმა მისმა სათადარიგოებმა „ჩიკაგოს“ დიდი ბრძოლა გაუმართეს.

„იუტა ჯაზმა“ პლეი ოფის პირველ წრეში „დალასთან“ მოედნის უპირატესობა ადრევე დაიბევა და ცხადია, „ფინიქსთან“ თავი არ მოუკლავს. „იუტას“ მოხუცმა ლიდერებმა — კარლ მელოუნმა და ჯონ სტოქტონმა საწყისი ექვსი წუთი წაიღლაბუცეს, შემდეგ კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლეს და იქიდან სიცილ-ხორხოცით ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ ჭამდნენ ერთმანეთს ორი კარგი გუნდის ცუდი სათადარიგოები. „ჯაზის“ მეორე ცენტრმა, გრეგ ოსტერტაგმა ბენეფისი მოიწყო და „ფინიქსს“ იმდენი ქულა ჩაუგდო, რამდენიც ნაბურ კარიერაში კი არა, ალბათ, ცხოვრებაშიც არ ჩაუგდია, თუმც ამაოდ დაშვრა, „ფინიქსის“ სკამმა იმარჯვა.

„მინესოტა ტიმბერვულვზმა“ კი ყველას აჯობა. „მგლებს“ 12-კაცა განაცხადშიც კი არ ჰყავდათ ლიდერი კევინ გარნეტი. სასტარტო ხუთეულის სხვა წევრთაგან კი არავის უთამაშია 20 წუთზე მეტი. ეს მატჩი თავის დღესასწაულად აქცია ტეხასელთა ჩინელმა ცენტრმა ვანგ ჟი ჟიმ, რომელმაც „მინესოტასთან“ 13 ქულა მოაგროვა, რაც მის რვა თამაშში სარეკორდოა.

ოფლის მოდენა „საკრამენტომაც“ იუკადრისა. მისი ლიდერთა ტრიო, კრის ვებერი და ორი იუგოსლავიელი — ვლადე დივაცი და პრედრაგ სტოიაკოვიჩი, ყასიდად ირჯებოდა. მათმა მეტოქემ კი თამაშში ჯიგარი ჩადო, მოიგო და ეს თურმე იმიტომ გააკეთა, რომ 40 გამარჯვება უფრო თვალშისაცემია, ვიდრე 39.

და მაინც, 18 აპრილს გულშემატკივრებმა ნამდვილი ბრძოლებიც იხილა. „ტორონტომ“ „ვაშინგტონს“ მოუგო და აზრი დაუკარგა აღმოსავლეთში მეხუთე ადგილისთვის მებრძოლი „შარლოტის“ თამაშს. ამ მარცხის შემდეგ გადადგა „ვაშინგტონის“ თავკაცი ლენარდ ჰამილტონი. მიზეზი თვალსაჩინოა — „ვაშინგტონს“ სეზონში ამდენი მატჩი არსებობის მანძილზე არ წაუგია. თავის მხრივ, „ტორონტოს“ გამარჯვება გაუფასურა „ნიუ იორკმა“, რომელმაც „დეტროიტი“ წააქცია და „ტორონტოსთან“ პლეი ოფში მოედნის უპირატესობა დაიბევა.

დიდი დაპირისპირება იყო სან ფრანცისკოშიც, სადაც იქაურმა „გოლდენ სტეიტმა“ წააგო და ზედიზედ 13 მარცხით შერცხვენილმა დაასრულა სეზონი. მისმა მძლეველმა ვანკუვერელმა „დათვებ“ კი სეზონში 23 თამაშის მოგება განსაკუთრებით იზეიმეს. ეს, ცხადია, ბევრი არაა, მაგრამ კლუბის რეკორდია. ამასთან, „დათვები“ „ვანკუვერის“ სახელით ბოლო მატჩს ატარებდნენ, მომავალი სეზონისთვის ისინი მემფისში აპირებენ გადაბარგებას.

ირაკლი ფიროსმანი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ფილადელფია*	56	26	68,3
მაიამი*	50	32	61,5
ნიუ იორკი*	48	34	58,5
ორლანდო*	43	39	52,4
ბოსტონი	36	46	43,9
ნიუ ჯერსი	26	56	31,7
ვაშინგტონი	19	63	23,2

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი*	52	30	63,4
ტორონტო*	47	35	57,3
შარლოტი*	46	36	56,1
ინდიანა*	41	41	50,0
დეტროიტი	32	50	39,0
კლივლენდი	30	52	36,6
ატლანტა	25	57	30,5
ჩიკაგო	15	67	18,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

სან ანტონიო*	58	24	70,7
იუტა*	53	29	64,6
დალასი*	53	29	64,6
მინესოტა*	47	35	57,3
ჰიუსტონი	45	37	54,9
დენვერი	40	42	48,8
ვანკუვერი	23	59	28,0

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლოსანჯელესი*	56	26	68,3
საკრამენტო*	55	27	67,1
ფინიქსი*	51	31	62,2
პორტლენდი*	50	32	61,0
სიეტლი	44	38	53,7
კლიპერსი	31	51	37,8
გოლდენ სტეიტი	17	65	20,7

* — გავიდა პლეი ოფში

პლეი ოფის პირველ წრეში ითამაშებენ

აღმოსავლეთი
ფილადელფია — ინდიანა
მილუოკი — ორლანდო
მაიამი — შარლოტი
ნიუ იორკი — ტორონტო

დასავლეთი
სან ანტონიო — მინესოტა
ლოსანჯელესი — პორტლენდი
საკრამენტო — ფინიქსი
იუტა — დალასი

კორაჩის თასი

ფინალი. საპასუხო მატჩი. 18 აპრილი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

ჰემოფარმი (იუგოსლავია) 69:71 უნიკახა (უსპანეთი) (47:77)

ჰემოფარმი: ჯოგო (6), ივანოვიჩი (5), პეკოვიჩი (17), სავიჩი (14), ვიდაჩიჩი (11), ვუჩინიჩი, ზეჩევიჩი (16)

უნიკახა: აბრამსი (16), ხურადო (7), ფომინი (7), მრშიჩი (8), პეტრუშკა (5), ფილიპი (5), როდრიგესი (9), სონჯო (7), ვასკესი (3), ვეისი (4)

კორაჩის თასის მფლობელი მალაგის „უნიკახა“

REUTERS გრსაჩიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

19 აპრილი. ვერის ბაღი

თსუ 84:105 ბასკო

22:29, 17:27, 22:23, 23:26

თსუ: ი. ბერიშვილი (17), მაისურაძე (3), ხეცურიანი (7), ახალაცი (20), სანიკიძე (13); ვეფხვაძე (12), მაჭარაძე (12)

ბასკო: ნიკოლაძე (12), ორმოცაძე (5), ბეჟანიშვილი (13), დროჟანოვი (20), ათუაშვილი (4); მ. მარკოიშვილი (10), კილაძე (6), აბრამიძე (6), გ. ნაცვლიშვილი (14), კეშელავა (6), ვ. ნაცვლიშვილი (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

19 აპრილი. ვერის ბაღი

შევარდენი 70:84 მაკაბი

15:23, 13:18, 34:19, 8:24

შევარდენი: ნ. ნოზაძე (2), კაზანჯიანი (21), გ. ჩხეიძე (16), სუხიშვილი (9), გოგუა (6); გულხდარაშვილი, ალავიძე, ნუცუბიძე (1), გელაშვილი (2), გიგაური (13)

მაკაბი: წოწელია (24), შანიძე (7), სარიშვილი (18), ტუჯანი (10), დაჩუმი (17); ანდღულაძე (8)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

19 აპრილი. ვერის ბაღი

აზოტი 103:106 სტუ

ძირითადი დრო 78:78

15:22, 21:24, 22:21, 20:11, 15:15, 10:13

აზოტი: ა. ფლინტი, გოგობერიშვილი (20), კოკოლიშვილი (4), ბაბიაშვილი (10), შენგელია (17); გაბისონია (11), დანელიანი, ჩაჩუა (2), ტურაშვილი (9), ჯაფარიძე (30)

სტუ: სულაძე, ხოშტარია (33), დავითულიანი (16), ოთიურიძე (6), მდივანი (15); ბ. ბერიშვილი (1), კორძაძე (6), ლოსაბერიძე (19), მინაშვილი (7), ჩუბინიძე (3)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

აზოტმა სასწაულს სამჯერ შეუტია

გიორგი ბიკაშვილი

„აზოტი“ — სტუ-ს დაპირისპირება არაფრისმომცემი კი გახლდათ, მაგრამ უშელავათო და დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. ეს გუნდები პლეი ოფის ნახევარფინალში ერთმანეთთან შესატოქებლად გამზადებულან და, ვფიქრობდით, თავს დაზოგავენ, ერთმანეთს ტაქტიკას დაუმალავენ, შესაძლო ტრამებს მოერიდებიანო... არაფერი ამის მსგავსი, ქომაგმა გუშინ ნამდვილი ბრძოლა იხილა, ისეთი, ვაჟკაცებს რომ სჩვევიათ.

ფრედ დამთავრებული ძირითადი დრო, ერთი, მეორე ოვერტაიმი, ერთი გუნდის აღმაფრენა, მეორის მიერ წამის მეასედში შემოტრიალებული თამაში — მოკლედ, ყველაფერი ვნახეთ, რაც კალათბურთს აშშვენებს.

„აზოტთან“ გამარჯვება ნებისმიერისთვის საპატიოა, მით უფრო, სტუსთვის, რომელსაც რუსთაველი კლუბისგან შარშანდელი წყენა ახლაც ხინჯად აქვს გულში. ვიცე-ჩემპიონი წლევანდელ პლეი ოფშიც შემუსვრას უპირებს სტუ-ს და ჭეიშვილის სამწყსოს ეს მოგება, სხვა თუ არაფერი, იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ უმძიმესი ბრძოლების წინ საკუთარი ძალებისა მეტად ერწმუნა. ჰოდა, მოინდომეს ბიჭებმა, დაუდალავად იშრომეს და საწადელიც აისრულეს, დამსახურებულად, ალალად მოუგეს „აზოტს“.

თანაბარი საწყისი წუთების შემდეგ სტუდენტობამ ძირითადად სისწრაფის ხარჯზე მოიპოვა უპირატესობა. სტუ დაცვაში უფრო ჟინით თამაშობდა და შესაძლებლობისთანავე სწრაფი პირველი შეტევების განვითარებას ლამობდა. თავის მხრივ, „აზოტი“ არ ჩქარობდა სიტუაციის გამწვავებას და ცდილობდა, „დამდგარი“ კალათბურთის თამაშზე დაეყოლიებინა მეტოქე, მაგრამ ტექნიკოსები ანკესზე არ წამოეგნენ და პირველი ათწუთეული თავის სასარგებლოდ დაასრულეს.

მეორე მეოთხედში სტუ-ს უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ახალგაზრდა გიორგი მდივანმა, რომელიც სულ ახლახან დამკვიდრდა სტუ-ს ხუთეულში, ისეთ სახელიან მეტოქეებთან ჭიდილში, როგორებიც შენგელია და ჯაფარიძე არიან, ფარი დაიჭყრო. ამან, რასაკვირველია, სტუდენტთა წისქვილზე დაასხა წყალი, ყოველივეს კი რუსთაველთა უკანახაზელების შეუთანხმებელი ქმედებაც დაერთო და ხმელიძის გუნდი ჭეიშვილისას 13 ქულით ჩამორჩა — 23:36.

„აზოტს“ მღელვარება დაეტყო, რაც მოგვიანებით ორი ტექნიკური შენიშვნის ფასად დაუჯდა. მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ კამათისთვის ჯერ შენგელია დასაჯა, შემდეგ კი ჯაფარიძე, მაგრამ ამით თბილისურმა გუნდმა მაინცდამაინც დიდი სარგებელი ვერ ნახა.

ტაიმის მიწურულს ოთარ ხმელიძემ შეგირდებს ზონური დაცვა უბრძანა. ამ ხერხით „აზოტმა“ საკუთარი ფარის მისადგომებთან შეავიწროვა მოწინააღმდეგე და თითქოს მდგომარეობაც გაიუმჯობესა, მაგრამ ლაშა ლოსაბერიძის ზედიზედ ორმა სამქულიანმა რუსთაველებს ჯაფა წყალში ჩაუყარა.

შესვენების შემდეგ თამაში ლოსაბერიძის საჯარიმოებით განახლდა, რადგან კიდევ ერთმა აზოტელმა, მამუკა ტურაშვილმა მსაჯებს ტექნიკური მაშინ დასტყუა, როცა პირველი ტაიმის დრო უკვე ამოწურული იყო. მატჩის სცენარი დიდად არც მერე შეცვლილა, მოედანზე კვლავაც სტუ დომინირებდა, რადგან „აზოტი“ უჩვეულოდ ცუდად ირჯებოდა შეტევაში — რუსთაველთა მსროლელებმა ამ მატჩში იმდენი სამქულიანი გააცუდეს, ერთს კი არა, ბარე ათ შეხვედრას ეყოფოდა. მოგვიანებით ვიცე-ჩემპიონმა ირაკლი ჯაფარიძის ძალისხმევით სხვაობა მნიშვნელოვნად კი შეამცირა, მაგრამ მესამე ათწუთეულის უკანასკნელ წამზე ირაკლი ხოშტარიას შორეულმა სამიანმა ბოლო მეოთხედის წინ სტუ-ს 9-ქულიანი მარაგი დაუბევა.

სტუ ლიდერობას ძირითადი დროის დამთავრების მომასწავებელ სირენამდე ინარჩუნებდა, თუმც დროთა განმავლობაში მეტოქეთა შორის სხვაობა ნელნელა მცირდებოდა. დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე მოვლენათა მსგავს განვითარებას ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან სტუ 5 ქულით იყო წინ და ბურთსაც თავად ფლობდა. აქ დავითულიანს შეეძლო, მატჩისთვის წერტილიც დაესვა, მაგრამ ფარქვეშიდან ვერ ივარგა და „აზოტს“ ერთი ქულა გააქვითინა. ამის მერე ორჯერ ნაჩქარევი შეტევა განავითარა სტუ-მ და ვერც თვითონ იხეირა, მეტოქესაც ძვირფასი წამები აჩუქა. მომდევნო ეპიზოდში კი დავითულიანი გოგობერიშვილზე დაჯარიმდა, რომლის სროლების შემდეგ „აზოტს“ 2 ქულაღა აშორებდა მეტოქისგან. ბოლო შეტევაც რუსთაველებმა წამოიწყეს, გოგობერიშვილმა ხანგრძლივად ათამაშა ბურთი, შემდეგ ჩვეული გარღვევა და ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილ ჯაფარიძეს ჩაგდების მეტი არაფერი დარჩენოდა — 78:78.

პირველი ოვერტაიმის დასაწყისშივე სტუ-მ 9-ქულიან უპირატესობას მიაღწია და „აზოტი“ ყველამ განწირულად მიიჩნია. რუსთაველმა გუნდმა მეორედაც მოახდინა სასწაული და კვლავ ბოლო წამზე გაუთანაბრა მეტოქეს. ზაზა გაბისონიამ ლამის წაქცეულმა ჩაagდო სამქულიანის ხაზს იქიდან და ტაბლოზე კვლავაც თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა — 93:93.

მეორე ოვერტაიმს გუნდები განახევრებული შემადგენლობებით შეხვდნენ. ხუთი ჯარიმის გამო „აზოტმა“ ტურაშვილი, შენგელია, ჯაფარიძე, კოკოლიშვილი და ბაბიაშვილი მოისაკლისა, სტუ-ს კი ოთიურიძე, მინაშვილი, მდივანი, ლოსაბერიძე და ხოშტარია გაუვარდნენ. გამარჯვებულის ვინაობა კვლავაც ბოლო წამამდე გაურკვეველი იყო, მაგრამ მერე ყველა დარწმუნდა, რომ სასწაული ზედიზედ სამჯერ ნამდვილად არ ხდება — სხვანაირად ხომ სასწაული აღარ ერქმოდა...

აზოტი — სტუ. ლაშა ლოსაბერიძე (ბურთით) და აზოტელი რამაზ გოგობერიშვილი

ბასკო	29	28	1	2863:2150	57
აზოტი	29	23	6	2505:2200	52
სტუ-ჯეოსელი	29	19	10	2688:2540	48
მაკაბი	29	15	14	2538:2481	44
თსუ	29	10	19	2491:2686	39
შევარდენი	29	7	22	2165:2414	35

შევარდენს დაკლებული აქვს ერთი ქულა

NHL. სტენლის თასი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე)

აქაც მანჩესტერული?!

18 აპრილი

აღმოსავლეთი

ტორონტო	4
ოტავა	0

ტორონტო 3:1 ოტავა (2:1 1:0 0:0)

0:1 ფილიპსი 3(1), 1:1 პერო 9(1), 2:1 პერო 19(2), 3:1 მაგანისი 31(1)

რა შეიძლება ითქვას სერიაზე, რომლის უკლებლივ ყველა მატჩის მთავარი გმირი ერთი გუნდის მეკარეა. ტორონტოს გოლკიპერმა კერტის ჯოზეფმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი მსოფლიოს კლასისაა და შეუძლია, მარტომაც დააჩოქოს მეტოქე. ოთხ თამაშში „კუჯომ“ 123 დარტყმიდან მხოლოდ 3 გაუშვა, ხოლო პირველ ორ თამაშში შათაუტებით ხერხემალი გაუტეხა მეტოქეს, რომელიც მას შემდეგ გონზე ვეღარ მოვიდა ისევე, როგორც შარშან. გადამწყვეტი როლი ამაში კერტის ჯოზეფმა შეასრულა, მან ტორონტოს საპლეიოფო სერიაში 1949 წლის შემდეგ მშრალად პირველად გაამარჯვებინა. თუმც არც მისი პარტნიორების დამსახურებაზე შეიძლება თვალის დახუჭვა.

ოტაველთა სათამაშო კონცეფციამ კი მორიგი საპლეიოფო კრახი განიცადა და ალბათ მალე გუნდში საკადრო ცვლილებები მოხდება. სავარაუდოდ, პირველად თავკაცი ჟაკ მარტენი გამოეთხოვება პოსტს. მან ვერ შეიგნო, რომ ევროპელებით გადატენილ გუნდს არაფერი ესაქმება პლეი ოფში. მოსალოდნელია, ალექსეი იაშინმაც შეიცვალოს გუნდი, რადგან კვლავ ვერ შეასრულა ლიდერის როლი. მას ოთხივე თამაშში შეინ კორსონი აედევნა და ერთი პასის მეტი ვერაფერი გაახერხა მაშინ, როცა ტორონტოს ლიდერ მათს სუნდინს იანიკ პეროს სამეულმაც ღირსეული დახმარება გაუწია.

კაროლინა	1
ნიუ ჯერსი	3

კაროლინა 3:2 ნიუ ჯერსი (1:1 1:0 0:1 1:0)

1:0 კაპანენი 2(1); 1:1 არნოტი 14(1), 2:1 ტანაბე 29(1), 2:2 სიკორა 50(2), 3:2 ბრინდამორი 61(1)

აქაც ყველა ელოდა, რომ ყველაფერი მეოთხე მატჩში დასრულდებოდა, მაგრამ კაროლინამ მაინც გაიბრძოლა და სპლეიოფო ასპარეზობა ორი დღით გაიგრძელა. თუმც ეს უფრო ნიუჯერსელთა „დამსახურებაა“. ერთობ უდისციპლინოდ იასპარეზეს „ეშმაკებმა“, ხშირად დაარღვიეს წესები და მეტოქეს საშუალება მისცეს, 7-ჯერ ეთამაშა რიცხვმრავლობაში. აქედან ორი მასპინძლებმა გამოიყენეს, რის გამოც ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, ოვერტაიმში კი სამი კაპანენის (გოლი და 2 პასი) და როდ ბრინდამორის (გოლი და 2 პასი) დუეტმა, რომელმაც ტრავმირებული რონ ფრენსისის არყოფნაში ლიდერობა ითავა, პირველივე წუთზე გამარჯვების გოლი გამოჩარხა.

პიტსბურგი	2
ვაშინგტონი	2

პიტსბურგი 3:4 ვაშინგტონი (0:1 1:1 2:1 0:1)

0:1 კონოვალჩუკი 8(1), 1:1 ლემიე 22(2), 1:2 უოტი 40(1), 1:3 კონოვალჩუკი 50(2), 2:3 იაგრი 52(1), 3:3 ლაუკანენი 54(1), 3:4 ჰალპერნი 65(1)

სტუმრების დიდი უპირატესობა (3:1) ორი ჯარიმის შემდეგ გაქარწყლდა — პიტსბურგის რიცხვმრავლობის ბრიგადებმა ლემიესა (ბოლი და პასი) და იაგრის წინამძღოლობით ჩვეულებისამებრ სწორედ კრიტიკულ მომენტში იძალეს და ანგარიში გაათანაბრეს. ბოლო წუთზე ოლაფ კოლიგის რომ არ ეყოჩაღა, ოვერტაიმიც აღარ იქნებოდა: ვაშინგტონელთა მეკარემ ორჯერ იხსნა თავისიანები.

დასავლეთი

ლოს ანჯელესი	2
დეტროიტი	2

ლოს ანჯელესი 4:3 დეტროიტი (0:1 0:2 3:0 1:0)

0:1 ჯერბიკი 14(1), 0:2 დიუშენი 22(2), 0:3 კოზლოვი 23(3), 1:3 ტომასი 54(1), 2:3 შტუმპელი 58(2), 3:3 სმოლინსკი 60(1), 4:3 ბელანჟე 63(1)

სერიის მეოთხე შეხვედრაშიც ნათელი იყო დეტროიტის უპირატესობა. ფავორიტი ბრწყინვალედ იყენებდა რიცხვმრავლობას (5 ცდიდან 3), მიუხედავად ბრენდან შენაჰანისა და სტივ აიზერმანის არყოფნისა, დამაჯერებლად მართავდა თამაშს, სიტუაციას სრულად აკონტროლებდა. კიდევ ექვსი წუთიც და მატჩი დასრულდებოდა, მაგრამ მარტინ ლაპოინტის თავშეუკავებლობა გუნდს ძვირად დაუჯდა. მისი ორი გაძევების შემდეგ მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, ბოლო წუთზე მეკარე შეცვალეს, კართან ბრძოლაში კი ყველას ბრაიან სმოლინსკიმ აჯობა. კომენტატორებმა და ჟურნალისტებმა „ამას მეორე მანჩესტერული სასწაული“ უწოდეს (იგულისხმება 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი), ოვერტაიმში კი მასპინძლებმა მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალეს და ახალბედა ერიკ ბელანჟეს გოლის წყალობით მოპოვებულმა გამარჯვებამ ერთობ ბუნდოვანი გახადა სერიის ბედი.

ვანკუვერი	0
კოლორადო	4

ვანკუვერი 1:5 კოლორადო (0:0 0:1 1:4)

0:1 დრური 38(4), 0:2 ფორსბერგი 50(2), 0:3 საკიკი 50(4), 0:4 ბესიე 50(1), 1:4 კლეტი 54(3), 1:5 ტანგეი 58(1)

სასწაული არ მოხდა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვანკუვერმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოუგო კოლორადოს და ვერც ლიდერის, ენდრიუ კესელსის დაბრუნებას ელირსა. და მაინც ქება ეკუთვნის კანადურ გუნდს. ახალგაზრდა ვანკუვერელებმა ერთობ გაუჭირვეს საქმე „ეველანშის“ დაცვას. მაგრამ საბოლოოდ კლასმა და ოსტატობამ თავისი გაიტანა. კოლორადო 38-ე წუთამდე მოთმინებით იგერიებდა მასპინძელთა ქაოსურ შეტევებს, კრის დრურის ლამაზი გოლის შემდეგ წინაც გავიდა, ხოლო როცა მეტოქე დაიღალა და დაცვაში ყურადღება მოადუნა, 38 წამის განმავლობაში სამი შაიბაც შეაგდო და ვანკუვერი საზაფხულო არდადეგებზე გაისტუმრა.

საბელ ლარიბიანი

სარბიელი

სპორტული ლატარია კროკო

გერმანია. ბუნდესლიგა. 30-ე ტური

20 აპრილი

23.15	001	დორტმუნდი-ბოხუმი	1,25	5,0	9,0

21 აპრილი

18.30	002	აინტრახტი-ბაიერნი	3,8	3,2	1,8
18.30	003	ჰანზა-კიოლნი	2,3	2,9	3,0
18.30	004	კოტბუსი-უნტერჰახინგი	2,0	3,0	3,5
18.30	005	ვერდერი-ვოლფსბურგი	1,55	3,3	6,0
18.30	006	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1,45	3,6	6,5
23.15	007	შალკე-ჰერტა	1,75	2,9	4,7

22 აპრილი

20.30	008	ფრაიბურგი-კაიზერსლაუტ.	2,4	3,0	2,7
20.30	009	მიუნხენი-შტუტგარტი	2,1	2,9	3,4

გერმანია. II ბუნდესლიგა. 30-ე ტური

20 აპრილი

22.00	010	ალემანია-მაინცი	1,8	3,1	4,0
22.00	011	ვალდჰოფი-ზაარბრიუკენი	1,6	3,4	5,0

21 აპრილი

18.00	012	ზანქტ პაული-ობერჰაუზენი	1,65	3,2	5,0
18.00	013	როიტლინგენი-ქემნიცი	1,25	5,0	9,0

22 აპრილი

18.00	014	კიკერსი-ფიურტი	2,4	3,0	2,7
18.00	015	ნიურნბერგი-ულმი	1,25	5,0	9,0
18.00	016	ალენი-ოსნაბრიუკი	1,55	3,5	5,3
18.00	017	არმინია-ჰანოვერი	1,9	3,1	3,6

23 აპრილი

23.15	018	დუისბურგი-მიონხენგლადბახი	2,4	3,1	2,6

ინგლისი. პრემიერლიგა. 35-ე ტური

21 აპრილი

16.00	019	მანჩესტერი-სიტი	1,35	4,0	7,5
19.00	020	არსენალი-ევერტონი	1,4	3,8	7,0
	021	არსენალი-ევერტონი 0:1	2,0	3,0	2,4
19.00	022	ასტონ ვილა-საუთჰემპტონი	1,65	2,9	6,0
19.00	023	ბრედფორდი-დერბი	2,7	3,0	2,4
19.00	024	ჩელსი-ჩარლტონი	1,25	5,0	9,0
	025	ჩელსი-ჩარლტონი 0:1	1,7	3,2	3,2
19.00	026	იფსვიჩი-ქოვენთრი	1,5	3,8	5,3
19.00	027	ლესტერი-მიდლსბრო	2,2	3,3	2,8
19.00	028	ვესტ ჰემი-ლიდსი	3,2	3,1	2,1
21.15	029	სანდერლენდი-ნიუკასლი	1,8	3,0	4,2

22 აპრილი

19.00	030	ლივერპული-ტოტენჰემი	1,3	4,4	8,0
	031	ლივერპული-ტოტენჰემი 0:1	1,8	3,2	2,8

ინგლისი. I დივიზიონი. 44-ე ტური

21 აპრილი

19.00	032	ბოლტონი-ნორვიჩი	1,45	3,5	7,0
19.00	033	ბანრლი-ბირმინგემი	2,3	3,1	2,8
19.00	034	ჯილინგემი-ვესტ ბრომვიჩი	2,5	3,0	2,5
19.00	035	გრიმსბი-შეფილდი	2,3	3,2	2,7
19.00	036	ჰადერსფილდი-ქუინზ პარკი	1,8	3,2	3,8
19.00	037	პორტსმუთი-ფულემი	2,8	3,3	2,2
19.00	038	უენსდი-ბარნსლი	2,2	3,1	3,0
19.00	039	სტოკპორტი-ქრიუ	2,0	3,0	3,5
19.00	040	ტრანმერი-კრისტალ პალასი	2,5	3,2	2,4
19.00	041	უიმბლდონი-ნოტინგემი	2,2	3,1	3,0
19.00	042	ვულვერჰემპტონი-ბლექბერნი	3,2	3,1	2,1

22 აპრილი

17.00	043	პრესტონი-უოტფორდი	1,95	3,2	3,4

ინგლისი. II დივიზიონი. 44-ე ტური

21 აპრილი

19.00	044	როვერსი-ოქსფორდი	1,35	4,2	7,0
19.00	045	ლუტონი-ბერი	2,2	3,3	2,8
19.00	046	ნორთჰემპტონი-კოლჩესტერი	1,9	3,2	3,6
19.00	047	ნოტსი-ბრისტოლი	2,4	3,1	2,6
19.00	048	პიტერბრო-ბორნმუთი	2,5	3,0	2,5
19.00	049	რედინგი-უოლსოლი	1,5	3,6	5,6
19.00	050	სტოკი-რექსემი	1,6	3,3	5,3
19.00	051	სუონსი-ოლდემი	2,4	3,1	2,6
19.00	052	უიგანი-როტერჰემი	2,3	3,1	2,8
19.00	053	უიკომბი-სუინდონი	2,1	3,2	3,1

ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

23 აპრილი

23.45	054	ბორნმუთი-უიკომბი	1,6	3,5	4,7

ინგლისი. III დივიზიონი. 44-ე ტური

21 აპრილი

19.00	055	ბარნეტი-როჩდეილი	2,6	3,1	2,4
19.00	056	კარლაილი-ბრაიტონი	2,7	3,2	2,3
19.00	057	ჩელტენემი-კიდერმინსტერი	1,45	3,5	7,0
19.00	058	ჩესტერფილდი-ლინკოლნი	1,45	3,6	6,5
19.00	059	დარლინგტონი-ჰალი	2,5	3,0	2,5
19.00	060	ექსეტერი-ჰალიფაქსი	1,95	3,2	3,4
19.00	061	ჰარტლპული-სკანთორპი	1,85	3,2	3,6
19.00	062	მაკლსფილდი-საუთენდი	2,1	3,1	3,2
19.00	063	მენსფილდი-ლეიტონი	2,7	3,2	2,3
19.00	064	პლიმუთი-ტორკი	1,75	3,3	3,8
19.00	065	შრიუსბერი-ბლეკპული	2,4	3,2	2,5
19.00	066	იორკი-კარდიფი	2,7	3,2	2,3

ინგლისი. მე-3 დივიზიონი. გადადებული მატჩი

23 აპრილი

23.45	067	როჩდეილი-ლინკოლნი	1,5	3,6	5,6

საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

20 აპრილი

21.30	068	ბოვე-ანჟე	1,55	3,2	6,5
21.30	069	შატორუ-გენიონი	1,75	2,9	4,7
23.00	070	კაენი-მარტიგი	1,9	2,8	4,2
23.00	071	ლე აერი-ლორიანი	2,5	2,7	2,8

იტალია. სერია A. 27-ე ტური

21 აპრილი

18.00	072	ნაპოლი-ბრეშა	1,85	2,9	4,2
23.30	073	ინტერი-ფიორენტინა	1,8	2,8	4,7

22 აპრილი

18.00	074	ბოლონია-ბარი	1,3	4,4	8,0
	075	ბოლონია-ბარი 0:1	1,8	3,2	2,8
18.00	076	ლაციო-ვიჩენცა	1,25	5,0	9,0
	077	ლაციო-ვიჩენცა 0:1	1,7	3,2	3,2
18.00	078	ლეჩე-მილანი	3,0	2,9	2,3
18.00	079	პერუჯა-ატალანტა	2,4	2,8	2,9
18.00	080	უდინეზე-რომა	3,4	2,9	2,1
18.00	081	ვერონა-რეჯინა	1,7	3,1	4,7
23.30	082	პარმა-იუვენტუსი	2,5	2,8	2,7

იტალია. სერია B 32-ე ტური

20 აპრილი

23.45	083	ემპოლი-კროტონე	1,85	2,7	4,7

22 აპრილი

18.00	084	ანკონა-პიაჩენცა	2,7	2,6	2,7
18.00	085	ჩიტადელა-კალიარი	2,6	2,6	2,8
18.00	086	კოზენცა-ტრევიზო	1,45	3,3	8,0
18.00	087	მონცა-სიენა	2,4	2,5	3,2
18.00	088	პესკარა-კიევო	3,0	2,5	2,5
18.00	089	პისტოიეზე-სალერნიტანა	1,95	2,5	4,7
18.00	090	სამპდორია-რავენა	1,2	5,6	10,0
18.00	091	ტორინო-ჯენოა	1,4	3,5	8,0

23 აპრილი

23.45	092	ვენეცია-ტერნანა	1,75	2,5	6,0

იტალია. სერია C1/a. 31-ე ტური

22 აპრილი

18.00	093	ალბინოლეფე-ვარეზე	2,2	2,4	4,0
18.00	094	ალესანდრია-რეჯანა	2,4	2,6	3,1
18.00	095	ალძანო-კომო	2,8	2,5	2,7
18.00	096	ბრეშელო-ლუმეცანე	2,2	2,4	4,0
18.00	097	ჩეზენა-კარარეზე	1,6	2,7	8,0
18.00	098	ლეკო-სპალ	2,2	2,5	3,6
18.00	099	ლუკეზე-ლივორნო	2,3	2,5	3,4
18.00	100	პიზა-მოდენა	2,7	2,5	2,8
18.00	101	სპეცია-არეცო	2,3	2,7	3,2

იტალია. სერია C1/b. 31-ე ტური

22 აპრილი

18.00	102	ასკოლი-ლოდიჯანი	1,6	2,9	7,0
18.00	103	კატანია-ტორესი	1,85	2,6	5,0
18.00	104	დი სანგრო-აკილა	2,3	2,5	3,4
18.00	105	ფ.ანდრია-სავოია	2,7	2,6	2,7
18.00	106	ჯულიანოვა-ფერმანა	2,3	2,4	3,6
18.00	107	მესინა-პალერმო	2,3	2,5	3,4
18.00	108	ნოჩერინა-ბენევენტო	1,85	2,5	5,3
18.00	109	პეზარო-ატლეტიკო	1,7	3,0	5,0
18.00	110	ვიტერბეზე-აველინო	3,0	2,4	2,7

ესპანეთი. I დივიზიონი. 31-ე ტური

21 აპრილი

23.30	111	ვილიარეალი-მალიორკა	2,3	2,8	3,1
24.00	112	სელტა-დეპორტივო	2,4	3,0	2,7

22 აპრილი

21.00	113	სოსიედადი-ვალიადოლიდი	1,8	2,9	4,4
21.00	114	ალავესი-მალაგა	1,75	3,0	4,4
21.00	115	რაიო ვალეკანო-ბილბაო	1,85	2,9	4,2
21.00	116	ესპანიოლი-რასინგი	1,65	3,3	4,7
21.00	117	ოსასუნა-ბარსელონა	3,5	3,0	2,0
22.00	118	სარაგოსა-რეალი	2,9	3,0	2,3
22.00	119	ლას პალმასი-ნუმანსია	1,75	3,0	4,4
23.00	120	ოვიედო-ვალენსია	2,7	3,0	2,4

ესპანეთი. II დივიზიონი. 34-ე ტური

21 აპრილი

21.00	121	ტენერიფე-უნივერსიდადი	1,3	4,4	8,0
21.00	122	ლეგანესი-ხაენი	2,0	2,8	3,8

22 აპრილი

14.30	123	ხეტაფე-ელჩე	2,1	2,8	3,5
15.00	124	სევილია-ბეტისი	2,2	2,9	3,2
21.00	125	ეიბარი-ატლეტიკო	3,4	2,9	2,1
21.00	126	მურსია-ბადახოსი	2,2	2,6	3,5
21.00	127	სალამანკა-ფეროლი	1,7	2,9	5,3
21.00	128	ლეიდა-კომპოსტელა	2,5	3,0	2,5
21.00	129	ალბასეტე-უელვა	1,9	2,8	4,2
21.00	130	სპორტინგი-ლევანტე	1,85	2,7	4,7
22.00	131	ესტრემადურა-კორდობა	1,9	2,9	4,0

პორტუგალია. I ლიგა. 29-ე ტური

20 აპრილი

01.00	132	ბრაგა-კამპომაიორენსე	1,45	3,6	6,5

21 აპრილი

23.00	133	ბოავიშტა-სპორტინგი	2,1	2,9	3,4

22 აპრილი

20.00	134	ფერეირა-მარიტიმუ	1,75	3,0	4,4
20.00	135	ბენფიკა-გიმარაეში	1,35	4,0	7,5
	136	ბენფიკა-გიმარაეში 0:1	1,9	3,2	2,6
20.00	137	ამადორა-ალვერკა	2,6	3,1	2,4
20.00	138	ლეირია-ეილ ვისენტე	1,5	3,5	6,0
20.00	139	ბეირა მარი-სალგეირუში	2,1	3,1	3,2
01.00	140	პორტუ-ავეში	1,1	7,0	14,0
	141	პორტუ-ავეში 0:1	1,35	3,6	4,4

23 აპრილი

00.30	142	ბელენენსეში-ფარენსე	1,6	3,2	5,6

პორტუგალია. II ლიგა. 29-ე ტური

21 აპრილი

02.00	143	სანტა კლარა-ლეცა	1,25	5,0	9,0

22 აპრილი

20.00	144	სეტუბალი-ფელგეირაში	1,2	5,6	10,0
20.00	145	ნასიონალი-ოვარენსე	1,4	3,8	7,0
20.00	146	რიუ ავე-იმორტალი	1,2	5,6	10,0
20.00	147	შავეში-ვარზიმი	3,0	2,9	2,3
20.00	148	მაია-ფრეამუნდე	1,2	5,6	10,0
20.00	149	ნავალი-აკადემიკა	1,9	3,0	3,8
20.00	150	ესპინიუ-ლამაში	2,0	3,0	3,5
20.00	151	პენაფიელი-მარკუ	1,35	4,0	7,5

ჰოლანდია. I დივიზიონი. 29-ე ტური

20 აპრილი

23.00	152	პსვ-ვალვაიკი	1,35	4,0	7,5
	153	პსვ-ვალვაიკი 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	154	უტრეხტი-ტილბურგი	1,9	3,1	3,6

21 აპრილი

22.30	155	ჰერენვენი-სიტარდი	1,6	3,4	5,0
22.30	156	როდა-სპარტა	1,4	4,0	6,5
22.30	157	ბრედა-ალკმაარი	1,7	3,2	4,4
22.30	158	გრონინგენი-როზენდალი	1,5	3,8	5,3
22.30	159	გრააფსხაპი-ტვენტე	2,2	3,3	2,8
22.30	160	ფეიენოორდი-ნაიმეგენი	1,35	3,8	8,0

ჰოლანდია. II დივიზიონი. 29-ე ტური

20 აპრილი

23.00	161	ექსელსიორი-ჰელმონდი	1,55	3,5	5,3

21 აპრილი

22.00	162	იგლსი-ჰაარლემი	1,4	3,8	7,0
22.00	163	ემენი-კამბური	2,1	3,1	3,2
22.00	164	ტელსტარი-ვეენდამი	1,7	3,2	4,4
22.00	165	დენ ჰააგი-ეინდჰოვენი	2,3	3,2	2,7
22.00	166	მაასტრიხტი-ზვოლე	2,5	3,2	2,4
22.00	167	ვენლო-ოსი	2,3	3,2	2,7

22 აპრილი

17.30	168	დენ ბოსხი-ჰერაკლესი	1,4	3,8	7,0
17.30	169	ვოლენდამი-დორდრეხტი	1,6	3,4	5,0

ბელგია. I დივიზიონი. 30-ე ტური

20 აპრილი

23.00	170	ლუვიე-ანდერლეხტი	5,0	3,4	1,6

21 აპრილი

23.00	171	მეხელენი-ბევერენი	2,1	3,2	3,1
23.00	172	სტანდარდი-ლიერსი	1,55	3,4	5,6
23.00	173	ლოკერენი-გენკი	1,65	3,3	4,7
23.00	174	მუსკრონი-გენტი	2,2	3,1	3,0
23.00	175	სენტ ტრუიდენი-ჰარელბეკე	1,8	3,2	3,8

22 აპრილი

18.00	176	ბრიუგე-შარლერუა	1,3	4,4	8,0
	177	ბრიუგე-შარლერუა 0:1	1,8	3,2	2,8
18.00	178	ბეერსხოტი-ანტვერპენი	1,6	3,4	5,0
18.00	179	აალსტი-ვესტერლო	2,4	3,1	2,6

ბელგია. II დივიზიონი. 32-ე ტური

21 აპრილი

22.30	180	დესელი-ინგელმუნსტერი	2,7	3,2	2,3
22.30	181	ტინენი-გეელი	2,8	3,1	2,3
23.00	182	დაინცე-ლიეჟი	1,75	3,1	4,2
23.00	183	მაასლანდი-მონსი	2,3	3,1	2,8
23.00	184	ჰეკელგემი-სტრომბეკი	2,5	3,2	2,4
23.00	185	ლომელი-ჰეუსდენი	1,4	3,8	7,0

15 აპრილი

18.00	186	მოლენბეკი-რუზელარე	1,65	3,2	5,0
18.00	187	ტურნჰაუტი-სერკლი	1,8	3,2	3,8
18.00	188	დენდერლეუ-ოსტენდე	1,6	3,5	4,7

საბერძნეთი. 26-ე ტური

21 აპრილი

21.00	189	პანილიაკოსი-იონიკოსი	2,4	2,9	2,8

22 აპრილი

19.30	190	ქსანთი-ირაკლისი	2,3	3,0	2,9
19.30	191	პაოკ-ათინაიკოსი	1,2	5,6	10,0
	192	პაოკ-ათინაიკოსი 0:1	1,5	3,5	3,5
19.30	193	პანაჰაიკი-არისი	2,4	3,0	2,7
19.30	194	პანათინაიკოსი-ეთნიკოსი	1,2	5,6	10,0
	195	პანათინაიკოსი-ეთნიკოსი 0:1	1,5	3,5	3,5
19.30	196	აეკ-ოფი	1,35	4,0	7,5
21.00	197	იანინა-ოლიმპიაკოსი	5,6	3,2	1,6

23 აპრილი

19.30	198	კალამატა-პანიონიოსი	2,3	2,8	3,1

ჩეხეთი. 25-ე ტური

20 აპრილი

19.30	199	პრეიბრამი-დრნოვიცე	1,55	3,4	5,6

21 აპრილი

13.15	200	ჟიჟკოვი-ბუდეიოვიცე	1,4	3,6	6,5
17.00	201	ბრნო-სლავია	4,0	3,1	1,8
19.30	202	იაბლონეცი-ბლ'შანი	1,7	3,1	4,7
19.30	203	სიგმა-სინოტი	1,35	3,8	7,0
19.30	204	ტეპლიცე-პლზენი	1,2	5,0	9,0
19.30	205	სპარტა-ბოჰემიანსი	1,3	4,0	7,5
19.30	206	ბანიკი-ლიბერეცი	2,1	2,9	3,4

პოლონეთი. 21-ე ტური

20 აპრილი

22.00	207	ლეგია-პოგონი	1,9	3,1	3,6

21 აპრილი

19.00	208	რუხი-სტომილი	1,7	3,2	4,4
19.30	209	რაციონკოვი-ვიძევი	2,2	2,9	3,2
20.00	210	ზაგლებე-გურნიკი	1,55	3,4	5,6
20.00	211	ვისლა-ოდრა	1,3	4,0	7,5
	212	ვისლა-ოდრა 0:1	1,9	3,2	2,6
20.00	213	შლიონსკი-კატოვიცე	2,1	2,9	3,4
20.30	214	პლოცკი-პოლონია	3,0	2,9	2,3

22 აპრილი

17.30	215	გროცლინი-ამიცა	2,3	2,9	3,0

თურქეთი. 29-ე ტური

20 აპრილი

22.00	216	ბეშიქთაში-სამსუნი	1,35	4,0	7,5

21 აპრილი

17.00	217	ადანა-ტრაბზონი	4,2	3,1	1,65
17.00	218	დენიზლი-ანკარაგიუჯიუ	2,4	3,0	2,7
17.00	219	გენჩლერბირლიგი-ისთანბული	2,3	3,2	2,7
21.00	220	ფენერბაჩე-გაზიანთეფი	1,55	3,4	5,6

22 აპრილი

17.00	221	იეთფა-ქოჯაელი	2,8	3,1	2,2
17.00	222	იოზგათი-ბურსა	2,1	3,0	3,3
17.00	223	ანთალია-ერზურუმი	1,4	3,6	6,5
21.00	224	რიზე-გალათასარაი	4,4	3,2	1,7

შოტლანდია. 34-ე ტური

21 აპრილი

19.00	225	აბერდინი-დანფერმლაინი	2,2	3,2	2,9
19.00	226	დანდი-რეინჯერსი	4,2	3,3	1,7
19.00	227	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1,55	3,6	5,0
19.00	228	მოზერუელი-სენტ ჯონსტონი	1,9	3,2	3,5

22 აპრილი

22.05	229	სელტიკი-ჰართსი	1,25	5,0	9,0

23 აპრილი

24.00	230	სენტ მირენი-დანდი იუნ.	2,4	3,2	2,5

ავსტრია. 29-ე ტური

20 აპრილი

22.30	231	ლინცერი-შტურმი	3,4	3,1	2,0

21 აპრილი

18.30	232	აუსტრია-ადმირა	1,5	3,5	6,0
18.30	233	ბრეგენცი-ზალცბურგი	2,4	3,1	2,6
18.30	234	გრაცერი-რიდი	1,8	3,1	4,0
19.30	235	ტიროლი-რაპიდი	1,85	3,1	3,8

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-8 ტური

21 აპრილი

22.30	236	ლუგანო-ლოზანა	1,85	3,2	3,6

22 აპრილი

19.15	237	სიონი-ციურიხი	1,95	3,0	3,6
19.15	238	გრასჰოპერი-სერვეტი	1,65	3,2	5,0
19.15	239	სენტ გალენი-ბაზელი	1,65	3,2	5,0

შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-8 ტური

21 აპრილი

20.30	240	არაუ-ქსამაქსი	2,2	3,0	3,1
20.30	241	ვინტერთური-ვილი	1,7	3,1	4,7
22.30	242	ივერდონი-ბელინცონა	2,0	3,1	3,4
22.30	243	იანგ ბოისი-ლუცერნი	2,3	3,0	2,9

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-8 ტური

21 აპრილი

20.30	244	სოლოთურნი-ვანგენი	2,3	3,1	2,8
20.30	245	კრინსი-დელემონი	2,3	3,2	2,7
20.30	246	კარუჟი-ბადენი	1,85	3,1	3,8
22.30	247	ლოკარნო-თუნი	2,2	3,0	3,1

დანია. 25-ე ტური

22 აპრილი

18.00	248	ორჰუსი-ვიბორგი	2,3	3,1	2,7
18.00	249	მიდტიულანდი-ჰერფიოლგე	1,6	3,4	5,0
18.00	250	ლიუნგბიუ-სილკებორგი	2,4	2,9	2,8
18.00	251	ოდენსე-ჰადერსლევი	1,25	4,4	8,0
18.00	252	კოპენჰაგენი-აკადემისკი	1,55	3,4	5,6
20.05	253	ოლბორგი-ბრიონდბიუ	2,8	3,1	2,3

შვედეთი. მე-3 ტური

21 აპრილი

16.30	254	ჰალმსტადი-ელფსბორგი	1,75	3,2	4,0
19.00	255	გიოტებორგი-იორებრო	1,6	3,4	5,0
19.00	256	იურგორდენი-მალმიო	2,5	3,0	2,5
19.00	257	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1,45	3,6	6,5

22 აპრილი

16.30	258	ჰეკენი-ჰამარბი	2,0	3,2	3,3
16.30	259	ნორჩიოპინგი-აეკ	2,6	3,1	2,4
16.30	260	ტრელებორგი-იორგრიტე	2,2	3,2	2,9

ნორვეგია. მე-2 ტური

22 აპრილი

21.00	261	ბოდიო გლ.-ოდ გრენლანდი	2,0	3,2	3,3
21.00	262	ბრინი-სტაბეკი	3,3	3,2	2,0
21.00	263	მოსი-ვიკინგი	2,9	3,2	2,2
21.00	264	სოგნდალი-ლინი	2,3	3,2	2,7
21.00	265	სტრიომგოდსეტი-ლილესტრ.	2,3	3,2	2,7
21.00	266	ტრომსიო-ბრანი	2,3	3,1	2,8
23.05	267	რუსენბორგი-მოლდე	1,55	3,6	5,0

ფინეთი. 1-ლი ტური

22 აპრილი

20.30	268	ინტერი-კუოპიო	1,6	3,4	5,0
20.30	269	ჯაზი-ატლანტისი	1,8	3,3	3,5
20.30	270	იოკერიტი-ტამპერე	1,55	3,5	5,3
20.30	271	ლაჰტი-ჰაკა	3,3	3,3	1,95
20.30	272	მიუპა-ჰიკ	2,2	3,3	2,8
20.30	273	ვაასა-როვანიემი	2,0	3,2	3,3

საფრანგეთი. თასის 1/2 ფინალი

20 აპრილი

23.45	274	სტრასბური-ნანტი	3,2	3,1	2,1

21 აპრილი

23.00	275	ამიენი-ტრუა	3,5	3,1	1,95

ლიბერტადორესის თასი

20 აპრილი

05.40	501	დეპორტივო-ორიენტე	1,35	3,8	7,0

21 აპრილი

03.00	502	ვასკო და გამა-ტაჩირა	1,1	6,0	12,0

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

21 აპრილი

18.00	503	ზამბია-ანგოლა	1,6	3,3	5,3
21.00	504	ბურკინა ფასო-მალავი	1,65	3,2	5,0
21.30	505	სიერა ლეონე-ნიგერია	6,5	4,0	1,35
22.00	506	სენეგალი-ალჟირი	1,85	3,1	3,8
24.00	507	მაროკო-ნამიბია	1,2	5,0	9,0

22 აპრილი

18.00	508	კამერუნი-ლიბია	1,1	6,0	12,0
21.00	509	ლიბერია-სუდანი	1,6	3,3	5,3
21.00	510	კოტ დივუარი-კონგო	1,25	4,4	8,0

1 ტაიმი/ძირითადი დრო, კალათბურთისა და ჰოკეის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ქართველი და ახალზელანდიელი მრთ ბედჟვეშ

ფულიც და მანქანაც თქვენი იყოს, თამაში მომეცით

ბერჯღალის ჯაჯები

პალიკო ჯიმშელაძე

მასზე ბევრი არასდროს დაგვიწერია, ისე, სხვათა შორის მოვიხსენიებდით — საჯარიმო შეაგდო, გონივრული პასით მეტოქის დაცვა დაანია, გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა, მოწინააღმდეგესთან საზარელი დაჯახების შემდეგ ფეხზე წამოდგომა მოახერხა და თამაში განაგრძო. არადა, 26 წლის პალიკო ჯიმშელაძეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საქართველოს ნაკრების მეათე ნომერი გუნდის დირიჟორია. სწორედ იგი წარმართავს ქართველთა შეტევებს და ბოლო დროს გარდასახვა-საჯარიმოებსაც ასრულებს. პალიკო ჯიმშელაძე ლევან ცაბაძესთან ერთად ფრანგული „კასტრის“ ღირსებას იცავს, თუმც „ლეონსიოსგან“ განსხვავებით, ვერაფრით მოიკიდა ფეხი ძირითად შემადგენლობაში. ვერ აეწყო ჯიმშელაძის ფრანგული კარიერა. შარშან ასე თუ ისე აბერხებდა, „კასტრის“ პირველი გუნდის მაისურა მოერგო და

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

მოედანზე გასულიყო. წლეულს კი ახალი მწვრთნელი არ წყალობს ქართველს და მასაც სათადარიგო გუნდში უწევს თამაში.

— ბოლო დროს „კასტრის“ ძირითად შემადგენლობაში არ გითამაშია...

— ძირითადს ვინ დარდობს, შეცვლებზე თამაშიც სანატრელი გამიხდა. არადა, ამხანაგურ და წინასასეზონო მატჩებში მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვხვდებოდი. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ დაიწყო თუ არა ჩემპიონატი, სათადარიგოთა სკამზე მომიწია ჯდომამ. „კასტრის“ მეორე გუნდში კი მუდმივად ვთამაშობ, პრაქტიკის ნაკლებობას არ ვუჩივი. არცთუ დაბალი დონეა სათადარიგოებში, მაგრამ პირველ გუნდში თამაში სულ სხვაა. შარშან ნორმალურად იყო ყველაფერი, წლეულს კი, როგორც გითხარით, სიტუაცია უარესობისკენ შეიცვალა.

— მწვრთნელს თუ ელაპარაკე?

— ველაპარაკე, შენზე დიდ იმედებს ვამყარებთო. აქაურ ჟურნალისტებთან საუბარშიც საკმაოდ კარგად დამახასიათა. მაგრამ ყველაფერი არც მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული. აქ ყველა სათამაშო რგოლს პერსონალური მწვრთნელი ჰყავს. უკანა ხაზის მორაგბეებს ჟან-ფრანსუა ბერტრანი გვწვრთნის, რომელიც სეზონის წინ მოიწვიეს. მას თავისი შეხედულებები აქვს, ეშინია, შეცდომა არ დაუშვას და ყველანაირად ცდილობს, თავი დაიზღვიოს. ძირითადად იმ მორაგბეებს ენდობა, ვისაც კარგად იცნობს და ვისი შესაძლებლობების კარგად მოეხსენება. ბერტრანი აკომპლექტებს უკანა ხაზს და თავის რჩეულ მორაგბეებს სთავაზობს მთავარ მწვრთნელს, ალენ გაეარეს, რომელიც 1995 წლეს „კასტრის“ შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა.

ჩემს გარდა უკანა ხაზში ხუთი ლეგიონერია: ერთი ირლანდიელი, ერთი შოტლანდიელი და სამიც ახალზელანდიელი. ძველი მწვრთნელი მეც და ახალზელანდიელებსაც გვენდობოდა, ბერტრანმა კი რატომღაც აგვითვალწუნა, მისი მოსვლის შემდეგ ამ ახალზელანდიელებმაც დაკარგეს ძირითადში ადგილი. ისე, ბერტრანს არ გაემტყუნება. როგორც ჩვენ, მორაგბეებს, მომავალ წელს მასაც ახალი კონტრაქტი აქვს გასაფორმებელი, ჰოდა, თუ ვერ გაამართლა, ბუნებრივია, სამუშაოს გარეშე დარჩება. ამიტომ იგი ცდილობს, არ გარისკოს და ნაკად გვარდიას ეყრდნობა.

— შენს პოზიციაზე, მეათე ნომერზე კონკურენტად მოტლანდიელი გრეგორ თაუნსენდი გყავს.

— ჰო, მართლაც ძლიერი მორაგბეა, ნამდვილი მსოფლიო დონის ვარსკვლავია. თაუნსენდის გარდა, წარსულში საფრანგეთის ნაკრების მეათე ნომერი, უგო მოლაც ითვლება ჩემს კონკურენტად. ძნელია მათთან მეტოქეობა, მაგრამ ვარჯიშზე თავს არ ვზოგავ და ყველანაირად ვცდილობ, მწვრთნელს თავი მოვაწონო. საერთოდ, საფრანგეთის ჩემპიონატში მეათე ნომერს უდიდესი მოვალეობა აკისრია. მთელი გუნდი მასზეა აწყობილი, ძალიან მაგარი უნდა იყო, შემადგენლობაში რომ მოხვდე.

— თუ მეათე ნომერზე ასეთი კონკურენციაა, იქნებ ამპლუა შეგეცვალა, მით უმეტეს, რომ ადრე მუამბარბად გითამაშია და საკმაო გამოცდილებაც გაქვს. ამაზე თუ ელაპარაკე ბერტრანს?

— ესეც შევთავაზე, ერთ-ორ მატჩში თხუთმეტ ნომრად გამამწესა, მაგრამ მერე მითხრა, შენ მეათე ნომერზე სათამაშოდ ჩამოგიყვანეს და ამ პოზიციაზე უნდა ითამაშო. რა ვიცი, რა გითხრათ. მე თამაში მინდა და იმას ვერ დაველოდები, როდის წავლენ გუნდიდან თაუნსენდი და მოლა.

— კლუბის გამოცვლაზე ხომ არ გიფიქრია?

— კი. დამთავრდება თუ არა სეზონი, „კასტრიდან“ აუცილებლად წავალ.

— მიწვევები გაქვს?

— სამი-ოთხი კლუბი მეპატიჟება. კლოდ სორელის ჩამოსვლას ვუცდი. იგი შემპირდა, უყურადღებოდ არ მიგატოვებ, სარფიან კონტრაქტს გაგიზერხებო. მეც მთლიანად ვენდობი სორელს.

— კონკრეტულად ხომ ვერ დაგვისახელებ, რომელი კლუბი გეპატიჟება?

— ჯერჯერობით მხოლოდ ერთის ვინაობა ვიცი. ეს „ელიტ 2“-ის „ნიმია“. მეტი სორელმა იცის. მჯერა, ისეთ კლუბს მომიძებნის, სადაც თამაშის საშუალება მომეცემა.

— „კასტრში“ როგორი პირობები გაქვს?

— უკეთესს ვერც ინატრებ. აგერ უკვე თექვსმეტი წელია, სპორტსმენი ვარ და ასე კარგად ჯერ არსად ვყოფილვარ. კლუბის ინფრასტრუქტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, მორაგბეებს მშვენიერი პირობები აქვთ ნორმალური ცხოვრებისთვის — საშუალოზე მაღალი ხელფასი, მანქანა, ბინა. რა გინდა, სულო და გულო, მაგრამ ხომ გეუბნები, ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი მაღალ დონეზე თამაშია, ამის საშუალება კი „კასტრში“ არ მაქვს. სწორედ ამიტომ ვაპირებ კლუბის დატოვებას.

— შენ და ლევან ცაბაძე ერთად ცხოვრობთ?

— დიახ. ადრე ბინაში ვიყავით ერთად, წლეულს კი გავფართოვდით. კლუბმა ეზოიანი კერძო სახლი გვიქირავა. ცოლ-შვილიც აქ მყავს, ლევანის ოჯახიც აქ არის.

— მოდი, ნაკრებზეც ვთქვათ.

— ვერ წარმოიდგენ, რამხელა გამოხმაურება მოჰყვა რუმინელებთან ჩვენს გამარჯვებას. საფრანგეთის მთელი სარაგბო საზოგადოება ამ მატჩზე ლაპარაკობს. აქ ქართველებს და რუმინელებს კარგად გვიცნობენ, აქაური ჩემპიონატში საკმაოდ ბევრი რუმინელი თამაშობს. თანაგუნდელები მეუბნებიან, თქვენგან ასეთ ძლიერ თამაშს ნამდვილად არ ველოდითო. ჩემი აზრით, მართლაც დიდი საქმე გავაკეთეთ. ამიერიდან მთელი ევროპა მოწიწებით მოგვეპყრობა და როცა მსოფლიოს თასზე გავალთ, მსოფლიოც გაგვიცნობს. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ. ადრე ბევრ შეცდომას ვუშვებდით, ბურთს უნებლიე სიტუაციაში ვკარგავდით. ახლა კი ეს ხარვეზებიც გამოვასწორეთ და თანამედროვე რაგბის კომპონენტებიც კარგად ავითვისეთ.

— რუმინელებთან მატჩი ახსენე და იქნებ ის მომენტიც გაიხსენო, როდესაც მეტოქე თამაშგარეში იმყოფებოდა და იქიდან აშკარად გეუხმა.

— ისე დამეჯახა, სუნთქვა შემეკრა და არც მეგონა, წამოდგომას თუ შევძლებდი. სიმართლე გითხრა, არ ველოდი, რომ დამეჯახებოდა. თამაშგარეში იდგა, მე რუმინელთა ლელოს მივუახლოვდი, ვიფიქრე, მორჩა, ლელოს გავიტან და საქმესაც მოვათავებ-მეთქი. თავის დაცვა არც მიფიქრია, ის კი პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და თავით მუცელში მეტაკა.

— მატჩის მერე თუ ნახე?

— არა. არც მქონდა ამის სურვილი. ისე არ გამიგო, თითქოს ჩხუბს დავუწყებდი და ამიტომ ავარიდე მასთან საუბარს თავი. თუ რაიმეს დამტკიცება გინდა, ეს მოედანზე უნდა გააკეთო. ველარ მოვასწარი, თორემ თამაშის დროს ძალიან მინდოდა, სადმე გამომეჭირა და საკადრისი პასუხი გამეცა.

— სორელმა ნაკრებში მოსვლის შემდეგ შუამარბის პოზიციიდან გამთამაშებლად გაგამწესა. ხომ არ გაგიჭირდა ახალ ამპლუაში თამაში?

— თავიდან ცოტა მართლაც გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ავუღე ალღო ახალ პოზიციას და დღემდე მეათე ნომერი ვარ. სორელი შორსმჭვრეტელი მწვრთნელია, ალბათ ჩემში რაღაც დანახა, სხვა შემთხვევაში ამპლუას არ შემიცვლიდა.

— ბოლო დროს საჯარიმო-გარდასახვებს შენ ურტყამ, ადრე ამას მალხაზ ურჯუკაშვილი აკეთებდა...

— შარშან „ევროპის ერთა თასზე“ ესპანელებთან მატჩისას მალხაზ ურჯუკაშვილმა ტრავმა მიიღო და კარგა ხნით ჩამოშორდა ნაკრებს. კარში დარტყმა კი სორელმა მე დამავალა. „კასტრში“ ამის დასახვეწად ბევრს ვვარჯიშობ. მგონი, კარგად გამომდის კიდეც. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაარტყამს, მე თუ მახო, მთავარია, ნაკრებს სარგებელი მოვუტანოთ და ქართველი ხალხი გავახაროთ.

ბაჩო სვანიძე

მეა ახალაძის ფოტო

პალიკო ჯიმშელაძისთვის კარში დარტყმა ჩვეულ საქმედ იქცა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყველა მატჩი

1	12.09.1989	ტმ	ქუთაისი	საქართველო — ზიმბაბვე 16:3
2	14.04.1990	ტმ	ბულავაიო	ზიმბაბვე — საქართველო 22:16
3	21.04.1990	ტმ	ჰარარე	ზიმბაბვე — საქართველო 10:26
[illegible]	21.11.1991	ტმ	თბილისი	საქართველო — უკრაინა 19:15
5	24.11.1991	ტმ	რუსთავი	საქართველო — უკრაინა 6:0
6	13.07.1992	ტმ	კიევი	უკრაინა — საქართველო 13:18
7	15.07.1992	ტმ	კიევი	უკრაინა — საქართველო 0:15
8	19.07.1992	ტმ	კიევი	ლატვია — საქართველო 3:28
9	25.05.1993	მთშ	გდანსკი	რუსეთი — საქართველო 15:9
10	27.05.1993	მთშ	გდანსკი	პოლონეთი — საქართველო 23:6
11	31.10.1993	ფირა	ლუქსემბურგი	ლუქსემბურგი — საქართველო 10:10
12	03.04.1994	ტმ	გელენჯიკი	ყაზახეთი — საქართველო 5:17
13	04.06.1994	ფირა	შო დე ფონი	შვეიცარია — საქართველო 21:22
14	23.03.1995	ფირა	სოფია	ბულგარეთი — საქართველო 8:70
15	25.03.1995	ფირა	სოფია	მოლდოვა — საქართველო 5:47
16	15.10.1995	ფირა	თბილისი	საქართველო — გერმანია 14:3
17	24.11.1995	ფირა	კასტრიკუმი	ჰოლანდია — საქართველო 55:3
18	12.04.1996	ფირა	თბილისი	საქართველო — ჩეხეთი 20:3
19	22.09.1996	ფირა	პრაღა	ჩეხეთი — საქართველო 14:18
20	20.10.1996	ფირა	თბილისი	საქართველო — რუსეთი 29:20
21	19.04.1997	ფირა	ლისაბონი	პორტუგალია — საქართველო 21:17
22	10.05.1997	ფირა	გდანსკი	პოლონეთი — საქართველო 29:23
23	12.10.1997	მთშ	თბილისი	საქართველო — ხორვატია 29:15
24	18.10.1997	მთშ	კოპენჰაგენი	დანია — საქართველო 8:19
25	11.04.1998	მთშ	ლაკვილა	იტალია — საქართველო 31:14
26	03.05.1998	ტმ	კიევი	უკრაინა — საქართველო 17:31
27	20.05.1998	მთშ	თბილისი	საქართველო — რუსეთი 12:6
28	14.11.1998	მთშ	დუბლინი	ირლანდია — საქართველო 70:0
29	18.11.1998	მთშ	დუბლინი	რუმინეთი — საქართველო 27:23
30	06.03.1999	მთშ	ნუკუალოფა	ტონგა — საქართველო 37:6
31	28.03.1999	მთშ	თბილისი	საქართველო — ტონგა 28:27
32	26.01.2000	ტმ	ლივორნო	იტალია — საქართველო 51:7
33	06.02.2000	ეეთ	ლისაბონი	პორტუგალია — საქართველო 30:32
34	20.02.2000	ტმ	სენ გოდანი	მაროკო — საქართველო 10:20
35	04.03.2000	ეეთ	მადრიდი	ესპანეთი — საქართველო 36:32
36	19.03.2000	ეეთ	თბილისი	საქართველო — ჰოლანდია 41:6
37	02.04.2000	ეეთ	თბილისი	საქართველო — რუმინეთი 20:23
38	04.02.2001	ეეთ	ამსტერდამი	ჰოლანდია — საქართველო 3:42
39	17.02.2001	ეეთ	თბილისი	საქართველო — პორტუგალია 36:12
40	04.03.2001	ეეთ	კრასნოდარი	რუსეთი — საქართველო 23:25
41	17.03.2001	ეეთ	რუსთავი	საქართველო — ესპანეთი 43:10
42	07.04.2001	ეეთ	ბუქარესტი	რუმინეთი — საქართველო 20:31

სულ: 42 მატჩი, 28 მოგება, 1 ფრე, 13 მარცხი. ბურთები: 830:760. ლელოები: 112:86

შენიშვნა: ტმ — ტესტ-მატჩი; მთშ — მსოფლიოს თასის შესარჩევი; ფირა — ფირა-ს პირველობა; ეეთ — ევროპის ერთა თასი.

სარაგბო ნაკრებთა მსოფლიოს რეიტინგი

მდგომარეობა 9 აპრილისთვის (1-40 ადგილები)

1 (2)	ინგლისი	318
2 (1)	ავსტრალია	314
3 (3)	ახალი ზელანდია	302
4 (4)	სამხრეთ აფრიკა	293
5 (6)	უელსი	274
6 (5)	საფრანგეთი	272
7 (7)	ირლანდია	272
8 (8)	არგენტინა	259
9 (9)	შოტლანდია	258
10 (10)	ფიჯი	256
11 (11)	სამოა	243
12 (12)	ტონგა	231
13 (13)	კანადა	229
14 (14)	იტალია	224
15 (15)	რუმინეთი	210
16 (17)	საქართველო	206
17 (16)	აშშ	204
18 (18)	იაპონია	199
19 (19)	რუსეთი	199
20 (20)	ურუგვაი	199
21 (21)	კორეა	190
22 (22)	მაროკო	183
23 (23)	ხორვატია	180
24 (24)	ჩილე	178
25 (25)	ნამიბია	177
26 (26)	ესპანეთი	171
27 (27)	ტუნისი	165
28 (28)	ჰონკონგი	157
29 (29)	ზიმბაბვე	156
30 (30)	პოლონეთი	155
31 (31)	უკრაინა	153
32 (32)	პორტუგალია	151
33 (34)	დანია	145
34 (35)	ტაივანი	144
35 (36)	კოტ დივუარი	144
36 (37)	პაპუა-ახალი გვინეა	143
37 (33)	ჩეხეთი	142
38 (38)	შვედეთი	141
39 (39)	კუკის კ-ბი	139
40 (44)	ბელგია	137

შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებულია ადგილი წინა რეიტინგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი (პარიზი-რუბე)

დომოური პოდიუმი

„პირველად პარიზ-რუბეში მონაწილეობა 1995 წელს მივიღე და მას შემდეგ მიყვარს ეს რბოლა. ვიცოდი, ერთხელ მაინც მოვიგებდი კლასიკს, მაგრამ რადგან ჯერ ისევ გუნდის ლიდერებისთვის ვიბრძვი, შეგონა, შედარებით მოკრძალებულ რბოლაზე ვიჭნებოდი პირველი და არა ასეთ პრესტიჟულზე. დღეს ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი, თანაც მუსეუვსაც არ გაუმართლა და ამიტომ შევუტიე“ — თქვა სერვე კნავენმა, რომელიც ნეპი კუიპერის შემდეგ პირველი ჰოლანდიელია, პარიზ-რუბე რომ მოუგია.

მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი რიგით 99-ე პარიზ-რუბე იყო, რომელიც საშინელ ავდარში ჩატარდა. კნავენმა თავისი გუნდის, „დომოს“ ტიტანური მუშაობის შედეგად იმარჯვა და ფინიშამდე 11 კილომეტრით ადრე დაწინაურდა. მერე მისმა თანაგუნდელებმაც ივაჟკაცეს და პოდიუმი მთლიანად დომოური გამოდგა.

თითქმის მთელი გზის მანძილზე აწვიმდა პელოტონს, რამაც 24-ქვაფენილიანი მონაკვეთის გავლა ერთობ გააძნელა. ერთადერთი სწორი სტრატეგია „დომოს“ სპორტულმა დირექტორმა პატრიკ ლეფევერმა შეარჩია და საკადრისიც მიიღო. საერთოდ, ლეფევერი პარიზი-რუბეს სპეციალისტად ითვლება, რადგან ბოლო ხუთ წელიწადში სხვადასხვა გუნდებს ოთხჯერ მოაგებინა ეს შეჯიბრი, თანაც მთელი პოდიუმი დააპყრობინა.

REUTERS რუბედან

ტალაბში ამოგანგლული სერვე კნავენი ფინიშზე პირველი იყო

რბოლის დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, როცა ყველა ოდნავ დასვენებას ცდილობდა, პირველი შეტევაც განხორციელდა, რომელმაც პირველ ქვაფენილებამდე გაძლო. მერე კი „დომო“ გადავიდა ფართოფრონტიან იერიშზე, რამაც ყველაზე სუსტები და უყურადღებონი გასწირა, მათ შორის ერიკ ზაბელი და ჯანლუკა ბორტოლამი. ისევე, როგორც 1999 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი, ბელგიელი ანდრეი ჩმილი, რომელიც წაიქცა და ნეკნები იტკინა. თუმცა იგი მაინც წამოდგა, ნელ-ნელა დაეწია დაწინაურებულებს და საბოლოოდ მერვე ადგილსაც უწია.

ტალახში ამოსვრილმა მრბოლებმა ქვაფენილები, რომლებზეც ველოსიპედები ცურავდნენ და საბურავები სკდებოდნენ, გაჭირვებით გაიარეს და აღმოჩნდა, რომ დაწინაურებულებში ყველაზე მეტი დომოელი იყო. თავიდან ვილფრედ პეეტერსი (დომო) გავიდა წინ, მაგრამ მას ფინიშამდე 19 კილომეტრით ადრე დაეწივნენ. მერე ლეფევერმა იოჰან მუსეუვის შეტევა დაგეგმა, მაგრამ როცა რბოლის დასრულებას 11 კილომეტრიღა აკლდა, ბელგიელს საბურავმა უმტყუნა და კნავენმაც ამიტომ შეუტია. თანაც იგი დარწმუნებული იყო, რომ თანაგუნდელები კონტრშეტევის ყველა მცდელობას აღკვეთდნენ.

ასეც მოხდა და 30 წლის კნავენმა კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა.

გაბი გურული

რბოლის შედეგები
1. სერვე კნავენი (ჰოლანდია, დომო) 6სთ 45წთ 00წმ; 2. იოჰან მუსეუვი (ბელგია, დომო) +34წმ; 3. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო) +4წ; 4. ჯორჯ ბინკები (აშშ, პოსტალი) +4წ; 5. ვილფრედ პეეტერსი (ბელგია, დომო) +41
საერთო ჩათვლა
1. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო) 116 ქულა; 2. ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია, ვინი კალდიროლა) 111; 3. სერვე კნავენი (ჰოლანდია, დომო) 101; 4. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 100; 5. იოჰან მუსეუვი (ბელგია, დომო) 80

REUTERS ოფანსბურგიდან

ჰასიმ რაჰმანი (მარცხნივ) და ლენოქს ლუისი აწონვის შემდეგ

სამხრეთ აფრიკაში ყველაფერი ერთ ადგილას, კარნავალ სიტიში იყრის თავს — ხვალ, 21 აპრილს, მძიმე წონაში მსოფლიოს უპირობო ჩემპიონი, ლენოქს ლუისი ჰასიმ რაჰმანს ხვდება.

ჰასიმ რაჰმანი ამ ბრძოლაში ფავორიტი რომ არ არის, ფაქტია, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ 28 წლის ამერიკელს საკუთარი თავისა სწამს. ტოტალიზატორების თანახმად კი რაჰმანის გამარჯვების ალბათობა 20-1 გახლავთ. ეს ფრიად შთამბეჭდავი კოეფიციენტია — აქამდე, მსოფლიო კრივის ისტორიაში ფავორიტის უპირატესობა უფრო მეტად მხოლოდ ორჯერ იყო აღრიცხული.

ორივეჯერ ეს პატივი მაიკ ტაისონს ერგო. ერთხელ 1996 წელს, მისი და ევანდერ ჰოლიფილდის ბრძოლა რომ გამოცხადდა, ბუქმეიქერებმა ჰოლიფილდს 25-1 დაუწერეს, ხოლო, ამ ამბამდე ექვსი წლით ადრე, 1990-ში ტაისონი ტოკიოში ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასს რომ ხვდებოდა, დუგლასის გამარჯვება 42-1 იყო შეფასებული.

„ასეთი კოეფიციენტის დაწერა სიგიჟე იყო — გააპროტესტა რაჰმანმა — ეს კოეფიციენტი ხელოვნურად გაზრდილს ჰგავს, მაგრამ არა უშავს, ხალხს დიდძალ ფულს მოვაგებინებ. ბრძოლისთვის მზად ვარ, ისევე როგორც ლენოქსისთვის ტიტულების ასართმევად. ახლა ესეც მითხარით, თუ ლუისის გუნდი გამარჯვებაში ასეა დარწმუნებული, მაშინ კონტრაქტში რემატჩი რატომ ჩამიწერეს?“

ამასობაში სამხრეთ აფრიკის ტელეარხებზე დაუსრულებლად გადასცემენ სიუჟეტებს ხვალინდელი ბრძოლის თაობაზე და ადგილობრივი კრივის ვარსკვლავებიც გამოჰყავთ. იქაურ მოკრივეთაგან, მძიმეწონოსნები, პიერ კუტცერი და კორი სენდერსი ლუისის გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ, კაფანდარა ჯეიკ მატლალა კი პრეტენდენტის სასარგებლოდ ამბობს.

„რაჰმანი ვინმეს ფისო ხომ არ ჰგონია — თქვა მატლალამ — როდესაც იგი დავიდ ტუასთან დამარცხდა, მე ანდერქარდში გამოვდიოდი და კარგად დავინახე, როგორ დაავჯარიმეს გონგის შემდეგ და როგორ არ მისცეს კუთვნილი, ხუთწუთიანი შესვენების გამოყენების უფლება. აი, ეს იყო მისი დამარცხების მიზეზი. კიდევ, გეხსომებათ, კორი სენდერსის დარტყმის შემდეგ რაჰმანმა როგორ განაგრძო ბრძოლა, არადა, თუ კორი მუშტს მოგარტყამთ, დამთავრებული საქმეა. ის დინამიტივით არის. რაჰმან — ლუისის ბრძოლა რომ დაიწყება, რაჰმანის მარჯვენას მიაქციეთ ყურადღება. სწორედ ეს მარჯვენა დაამარცხებს ჩემპიონს“.

ამასობაში კი ლუისის ერთ-ერთმა პრომოუტერმა, როდნი ბერმანმა საკუთარი ბანაკის მუშაობა დაიწუნა, რაღაცას რომ გადაწყვეტენ, მალევე ცვლიანო. ამაზე ცნობილმა მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა თქვა:

„ბერმანს გული წყდება, რომ ლუისის ბანაკში ყველაზე გავლენიანი კაცი არ არის. ჩვენ ჩვენი საქმე და სტილი გვაქვს“.

ბასკეთის ტური

ესპანეთში მეხუთე, ბასკეთში პირველი

ბასკეთში ველომრბოლთა მორიგი შეჯიბრი ჩატარდა, რომელიც ასტეასუში დაიწყო და ლასარტე ორიაში დასრულდა.

პირველ ეტაპზე თავი იტალიელმა დავიდე რებელინმ (ლივიგასი) გამოჩინა, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ ტირენო ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვის ტურებზე იმარჯვა. მან დღის მთავარ დაბრკოლება ალკისას მთაზე, რომელიც მეორე კატეგორიის სიძნელე გახლდათ, თანაგუნდელების დახმარებით შეძლო, მთიელებს მიჰყოლოდა და მერე სპრინტში ესპანელ იგორ ასტარლოასა და ჰოლანდიელ მიკაელ ბოგერდს აჯობა.

სამშაბათს მეორე ეტაპიც იტალიელის გამარჯვებით დასრულდა. ჯგუფურ სპრინტში ამჯერად უძლიერესი სტეფანო ძანინი (მაპეი) იყო. საერთო ჩათვლაში კი ლიდერობა ასტარლოამ იგდო ხელთ ქულათა დარიცხვის სისტემის გამო. წესით და რიგით, „ბასკეთის ტურის“ ბედი ამ ეტაპზე უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან პელოტონს ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე კატეგორიის სიძნელეები ჰქონდათ დასაძლევი. თუმცა ფავორიტებმა შეტევებისგან თავი შეიკავეს და ჩრდილში ყოფნა ამჯობინეს. იგივეს ვერ ვიტყვით ესპანელ ფრანსისკო ლარაზე, რომელმაც იერიში პირველივე კილომეტრზე წამოიწყო და 12-წუთიან უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბოლო აღმართზე მას მაინც დაეწივნენ. ბოლო 10 კილომეტრზე კიდევ ერთმა ესპანელმა, ვიკტორ პრადერამ სცადა ბედი, მაგრამ „მაპეის“ აქტიურობამ მისი შეტევაც გააუნებლა.

მესამე ეტაპი კვლავ რებელინისა იყო, ლიდერობა კი ბოგერდმა გადაიბარა. იმ დღეს პელოტონს წვიმასთან, ქარსა და ოთხ მთასთან მოუწია ბრძოლამ. ყველაზე მამაცი და შეუპოვარნი რუსი პაველ ტონკოვი, ესპანელები — იგორ გონსალეს დე გალდეანო, ხოსე ლუის არიეტა და ფრანსისკო კაბელო გამოდგნენ და პირველივე აღმართზე, ურკიოლას მთაზე, შეუტიეს. მათ დასაწევად პელოტონს 40 კილომეტრამდე დასჭირდა. ბოლოს, ფინიშამდე 9 კილომეტრით ადრე, კაბელო დანებდა და ფინალური სპრინტიც გაიმართა.

ხუთშაბათს იტალიელთა ბატონობა დაემხო. ანსელ კასტრესანამ, რომელიც წინადღეს თავის ლიდერს, დავიდ ეჩებერიას ეხმარებოდა და ვერ უშველა, ოთხწლიანი კარიერის პირველი გამარჯვება იზეიმა. რებელინმ შეჯიბრი მიატოვა, ბოგერდმა კი პირველობა შეინარჩუნა. დღის მთავარი იერიში დავიდ ლატასასა (ესპანეთი, კელმე) და ხოსე მანუელ კუენსას (ესპანეთი, ბანესტო) ანგარიშზეა. მათ სხვები მე-20 კილომეტრზე მიატოვეს და 140-ე კილომეტრამდე რბოლას ლიდერობდნენ კიდეც. დუეტმა ყველა მთა პირველმა გადაიარა, გარდა უკანასკნელისა. მერე მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა, იტალიელმა ფრანჩესკო კასაგრანდემ შეუტია ექვსკაციანი ჯგუფით, მაგრამ ფინიშის სწორზე ეს შეტევაც მარცხით დასრულდა. სპრინტი ეჩებერიამ წამოიწყო, რომელსაც ბოგერდმა გაუსწრო. თუმცა ჰოლანდიელსაც არ ეწერა მოგება. მრბოლს კარგა ხნით მის ბორბალში მჯდომმა კასტრესანამ აჯობა.

მეხუთე და ბოლო ეტაპი ორად იყო გაყოფილი. მრბოლებმა ჯერ 100-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა გამართეს, რომელიც შარშანდელი „ჯიროს“ ჩემპიონმა სტეფანო გარძელიმ (იტალია, მაპეი) მოიგო. მერე კი 10,2 კილომეტრზე ინდივიდუალურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს. აქ ყველაზე სწრაფი ლიტველი რაიმონდას რუმსასი გამოდგა და რადგან საერთო ჩათვლაში მოწინავეთა უმეტესობას აქამდე ერთნაირი დრო ჰქონდა, ამიტომ საბოლოო გამარჯვება რუმსასს დარჩა, რომელიც შარშანდელ „ესპანეთის ტურზე“, ანუ „ვუელტაზე“ მეხუთე ადგილზე გავიდა.

გაბი გურული

საბოლოო ჩათვლა
1. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა) 18 სთ 42 წთ 54 წმ; 2. ალბერტო მარტინესი (ესპანეთი) +5 წმ; 3. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი) +7; 4. მარკოს სერანო (ესპანეთი) +7; 5. ხუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი) +16

ძვე-ველტერის **წონაში WBC-სა და WBA-ს ჩემპიონმა, კოსტია ძიუმ სასამართლოში წააგო. ყოფილ რუსს, ახლა კი ავსტრალიელს სურდა თავისი ყოფილი საპრომოუტერო ფირმისთვის არ გადაეხადა თავდაპირველი 7,3 მილიონი დოლარი, რომელიც დღეისათვის 8,5 მილიონი გამხდარა. ძიუს იმედი გადაეწურა, როდესაც სასამართლომ განიხილა ფირმისა და მოკრივის კონტრაქტი, რომელშიც ნათლად ეწერა, რომ ავსტრალიელი ვალდებული იყო ყველა ბრძოლა ამ კონკრეტული პრომოუტერის ეგიდით გაემართა.**

აფრიკაში მუჰამედ ალიზე ფილმს იღებენ და ამ ამბავმა მოზამბიკის საფეხბურთო ჩემპიონატს პრობლემები შეუქმნა — ფილმის ავტორებმა უდიდესი „მაჩავა სტადიუმი“ დაიქირავეს, იქ კი თამაშები უნდა გამართულიყო. ფილმი ეძღვნება ისტორიულ ბრძოლას ალისა და ჯორჯ ფორმენს შორის, რომელიც კრივის ისტორიაში ასეთი სახელით შევიდა — „ბრდღინვა ჯუნგლებში“.

მსოფლიოს **ოთხგზის ჩემპიონი ბანტამის წონაში ჯონი ტაპია ისევ დონ კინგთან არის დაკავშირებული. მან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ნიუ მექსიკელი ტაპია დონ კინგის ხელმძღვანელობით მეხუთედ აპირებს ქამრის შემორტყმას.**

„აღელვებული ვარ ჩინებულ მოკრივესთან ახალი კონტრაქტის გაფორმებით — განაცხადა პრომოუტერმა — ამ მოკრივეს ბრძოლა და გამარჯვება უყვარს, ის ნამდვილი მეომარია“.

შეგახსენებთ, რომ ჯონი ტაპია 34 წლისაა და ბიოგრაფიაში 49 გამარჯვება, 2 ფრე და 2 დამარცხება უწერია.

გაგუნა ძიდია

REUTERS ვაშინგტონიდან

ᲩᲙᲘᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔ

ᲛᲜᲑᲘᲛᲘᲡ რეგულარული ჩემპიონატი გასრულდა — მოწინავენი პლეი ოფისთვის ემზადებიან, უიღბლონი მომავლის იმედითღა არიან. ამათ შორისაა „ვაშინგტონ ვიზარდსი“, რომელმაც სეზონის ბოლო შეხვედრა 92:98 წააგო „ტორონტო რეპტორზთან“ და სეზონი სამარცხვინო შედეგით, 19 მოგებითა და 63 მარცხით დაასრულა. ვაშინგტონელთა მწვრთნელი ლენარდ ჰამილტონი კი თავის გზას მიუყვება: სეზონის ანტირეკორდის შემოქმედ გუნდს ახალი მწვრთნელი სჭირდება.

პლეი ოფს მიღმა რჩება ლიგის ყველაზე სახელოვანი გუნდი „ბოსტონ სელტიქსიც“, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო მატჩი „შარლოტ ჰორნეთსთან“ წააგო 92:97. თუმცა, ბოსტონელებმა ტრადიციას არ უღალატეს და თავიანთი სასეზონო მაისურები „ფლიტ სენთერის“ ერთგულ ქომაგებს უსახსოვრეს. ფოტოზეც ის მომენტია აღბეჭდილი, თუ როგორ ჩუქნის თავის სამოსს ბოსტონელ მაყურებლებს პოლ პირსი.

AP ბოსტონიდან

ᲚᲔᲜᲝᲥᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ

ᲐᲛ ᲣᲫᲛᲔᲑᲖᲔ დიდი კრიზია იოჰანესბურგში. ლენოქს ლუისი ჰასიმ რაჰმანს ერკინება. იოჰანესბურგის „ელის პარკი“ კი ეს რამდენიმე დღეა დიდი საფეხბურთო ტრაგედიის ადგილი შეიქნა. იქ საფეხბურთო მატჩის წინ წარმოქმნილი ჭყლეტისას 43 კაცი დაიღუპა. ჰოდა, ლენოქს ლუისსაც თანაგრძნობა გამოუხატავს და გვირგვინით შეუმკია უბედურების ადგილი.

REUTERS იოჰანესბურგიდან

ᲠᲣᲐᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

რაღაც სასწაულებრივად დაკრული შაიბა გამოუძვრია თავისი კარიდან „კოლორადო ავალანშის“ ზღაბრულ მეკარეს, პატრიკ რუას „ვანკუვერ კანაკსთან“ თამაშში. აი, სწორედ ამ გმირული ხსნის წამს ჩაავლო „როიტერის“ ფოტორეპორტიორმა. „კოლორადომ“ თამაში 5:1 მოიგო, ხოლო სერია — 4:0.



REUTERS ვანკუვერიდან

REUTERS ლონდონიდან

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ „ტაუერ ტისტლის“ სასტუმროს წინ შეყრილან ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ნიჩბოსანი სტივ რედგრეივი და ინვალიდთა ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ტანი გრეი ტომპსონი. 22 აპრილს უკვე ოცდამეორედ გაიმართება ლონდონის განთქმული მარათონი და ეს ორივე სახელოვანი სპორტსმენიც ამ გარბენში მონაწილეობას აპირებს.



REUTERS მონტე კარლოდან

ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ

კიდეც წაიქცა და კიდეც წააგო. შვედ ჩოგბურთელ მაგნუს ნორმანის ცუდი დღე ჰქონდა მონაკოს ტურნირზე. მაროკოელმა ჰიშამ არაზიმ 6:2, 6:4 მოუგო და შინ გაისტუმრა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge